ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2021 წელი, 31 დეკემბერი, №17-18 (6545)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 80 თეთრი

გილოცავთ დამდეგ ახალი წლისა და შობის დღესასწაულებს!

ადგილობრივი გაზეთისთვის თქვენთან ინტერვიუ შეგნებულად დავაგვიანეთ, რათა ჩვენს საუბარში გარკვეული პერიოდის ანგარიშიც ყოფილიყო წარმოდგენილი და საახალწლო დღესასწაულსაც დამთხვეოდა.

ბატონო გივი, თქვენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ უდიდესი ნდობა გამოგიცხადათ და უმრავლესობის მიერ არჩეული მერი ბრძანდებით, გილოცავთ მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებში შთამბეჭდავ გამარჯვებას და გისურვებთ წარმატებულ საქმიანობას ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

– ორი თვე მიიწურა, რაც თქვენ მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე მუშაობას შეუდექით და რა სახის პრობლემები დაგხვდათ, რომელი მიმართულებით გამოიკვეთა პრიორიტეტები?

– პრობლემები მრავალმხრივია, მაგრამ ინტენსიურად ვიმუშავებთ მათ გამოვლენასა და მოგვარებაზე.

– მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი თუ გაძლევთ საშუალებას, რათა მოსახლეობისთვის გადაწყვიტოთ ყველაზე საჭირო და მტკივნეული პრობლემები?

– ადგილობრივი ბიუჯეტი საკმაოდ მწირია, მაგრამ საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით, ვეცდებით, გადავწყვიტოთ აღნიშნული პრობლემები.

– მომავალ წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას რომელი მიმართულებებით გეგმავთ?

– მომავალ წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, სანიაღვრე არხების მიმართულებით.

დაგეგმილი გვაქვს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში (თივი, შოროხი, ჩანტლიყურე, ზინობიანი) ამბულატორიების მშენებლობა.

გარკვეული თანხებია გათვალისწინებული საბავშვო ბაღებისა და სკოლების კეთილმოწყობისათვის.

– სოფლის მეურნეობა ყვარლის მუნიციპალიტეტის ძირითადი დარგია, რომელიც უკანასკნელ წლებში მთავრობის ხელშეწყობით მნიშვნელოვნად განვითარდა, კიდევ თუ გაგრძელდება პროექტები, რომლებიც პროდუქციის წარმოების და ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს?

– საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მრავალი პროექტი მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის მიმართულებით – „დანერგე მომავალი“, „აწარმოე საქართველოში“ და სხვა, რომელნიც შემდგომშიც გაგრძელდება და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას, პროდუქციისა და დასქმებულთა რაოდენობის ზრდას და სხვა.

– მუნიციპალიტეტის ეკონომიკის აღმასვლის ძირითადი დარგი ძველთაგანვე იყო ვაზი და მისი პროდუქტი – ყურძენი. 2021 წლის არახელსაყრელი კლიმატური პირობების, კერძოდ – ძლიერი სეტყვისა და ქარიშხლის გამო მასიურად განადგურდა მოსავალი, თუმცა საქართველოს მთავრობამ დაზარალებულ მევენახეებს განეული დანახარჯების დასაფარად ფინანსური დახმარება გაუწია. რამდენმა მევენახემ ისარგებლა ყვარლის მუნიციპალიტეტიდან და რა უნდა გაკეთდეს მომავალში, მოსავლის გადარჩენისა და ზარალის ასანაზღაურებლად?

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესიაზე

2021 წლის 22 დეკემბერს ჩატარდა საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე, ილია მზექალაშვილი. სხდომაზე დამტკიცებული იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი. 2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ 12 334,3 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1 966,0 ათასი ლარით. ა (ა)იპების დაფინანსება 2022 წლისათვის განისაზღვრა 6586,6 ათასი ლარით, სოციალური ხარჯები განისაზღვრა 640,0 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის, წლის დასაწყისში გამოყოფილია 175,9 ათასი ლარი. ცვლილება იქნა შეტანილი „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 დეკემბრის 23 დადგენილებაში, რაც განპირობებული იქნა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 და 4 თებერვლის №147 განკარგულებაში შესული ცვლილებების გამო. შემოსულობების ნაწილში, მცირდება ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები და განისაზღვრება 19 509,9 ათასი ლარით. გადასახდელების ნაწილი კი განისაზღვრება 21 364,8 ათასი ლარით. სხდომაზე ასევე დამტკიცდა ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2022 წლის პროგრამა. საკრებულოს წევრებმა მოიწონეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარსადგენი სამთავრობო კომისიაზე განსახილველი 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა. სხდომაზე განხილული იქნა სხვა საკითხებიც.

24 დეკემბრიდან 8 იანვრის ჩათვლით, საახალწლო ღონისძიებები საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართება – პრემიერის გადაწვეტილება

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 24 დეკემბრიდან 8 იანვრის ჩათვლით, საქართველოს ყველა რეგიონში საახალწლო ღონისძიებები გაიმართება, რომლებზეც დაცული იქნება კოვიდ-რეგულაციები.

„63-ვე მუნიციპალიტეტში მოეწყობა საშობაო ბაზრობები, გამოფენა – გაყიდვები, საბავშვო გასართობი სივრცეები. ტერიტორიაზე განთავსდება ხის საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ პატარებს თოვლის ბაბუა ტკბილეულსა და საჩუქრებს გადასცემს.

საღამოს საათებში გაიმართება, როგორც ადგილობრივი, ისე დედაქალაქიდან მოწვეული შემსრულებლების კონცერტები. ღონისძიებები დასრულდება საზეიმო ფოიერვერკით. ყველა ღონისძიებაზე დაცული იქნება კოვიდ-რეგულაციები“, – ნათქვამია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ყვარელში საახალწლო ღონისძიებები 4 იანვარს, 14 საათიდან დაიწყება!

დღის პირველი ნახევარი დაეთმობა ბავშვთა გასართობ კონცერტებს და აქტივობებს. მთელი დღის განმავლობაში იქნებიან ანიმატორები და ზღაპრის გმირები. ტერიტორიაზე მოეწყობა ფერადი გასაბერი ბატუტი!

14 საათიდან იქნება სანტა, რომელიც სანტას სახლში უმასპინძლებს ბავშვებს თუ მოზარდებს. ასევე სანტასთან მისულ ბავშვებს დაურიგდებათ ტკბილეული!

14 საათიდან დაიწყება „მეკო სტუდიას“ საბავშვო კონცერტი 1,5 საათიანი პროგრამით!

სცენა დაეთმობა ყვარლის მუნიციპალიტეტის საბავშვო მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებს!

18 საათი: ანსამბლი შვიდკაცა!

ღონისძიების წამყვანი: თათია ქვრივიშვილი.

ასევე ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში მოეწყობა საშობაო ბაზრობა/ გამოფენა-გაყიდვა!

ღონისძიება დასრულდება საზეიმო ფოიერვერკით!

მრავალ ახალ წელს შევხვედროდეთ ბედნიერები და ამაღლებული სადღესასწაულო განწყობით

ძვირფასო თანამოქალაქენო, ყოველი ახალი წლის შემობრძანება განსაკუთრებულად უმნიშვნელოვანესი მოვლენაა თითოეული ადამიანის ცხოვრებაში, ამიტომაც გადავწყვიტეთ სადღესასწაულოდ შეგხმიანებოდით.

ოცდამეერთე საუკუნის ოცდამეერთე წელი ისტორიის კუთვნილება ხდება, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას კი იგი დაამახსოვრდება გლობალური პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის წლად, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და უზომო ტკივილი მოგვაყენა. სამწუხაროდ, პანდემიის შედეგად გამოწვეული მსოფლიო მასშტაბის კრიზისი გრძელდება და რა შედეგებს მოგვიტანს, ჯერჯერობით გაურკვეველია. ადამიანი იმედით ცოცხლობს, დარწმუნებული ვართ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს იღონებს, რათა ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ქვეყანაში გაჯანსაღდეს.

ახალი წელი კარს მოგვადგა. ამ დღის შესახვედრად ოჯახები განსაკუთრებული საზეიმო განწყობით ემზადებიან. ღამის 12 საათზე ტრადიციულად დავლოცავთ ცისფერი ვეფხვის წლის შემობრძანებას, მშვიდობას, ჯანმრთელობას და უკეთესი მომავლის უზრუნველყოფას შევთხოვთ უფალს.

გივი ზაუტაშვილი,
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი

გულწრფელად ვუერთდებით თქვენს საახალწლო, სადღესასწაულო განწყობას და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სახელით გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

ეს წელი ყოფილიყოს თქვენი იმედების გამართლების, სურვილების ასრულების და მიზნების განხორციელების, უკეთესი ცხოვრების მომტანი.

უსიამოვნებები, რაც გასულმა წელმა მოგვიტანა, წარსულში დარჩეს.

მრავალ ახალ წელს შევხვედროდეთ ბედნიერები და ამაღლებული სადღესასწაულო განწყობით.

უფალი იყოს ჩვენი მფარველი.

ილია მზექალაშვილი,
ყვარლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გილოცავთ დამდეგ ახალი წლისა და შობის დღესასწაულებს!

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

– როგორც მოგეხსენებათ, ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 26 აგვისტოს, 2 და 23 სექტემბერს მოსულმა სეტყვამ დიდი ზიანი მიაყენა სასოფლო სამეურნეო სავარგულებს. განსაკუთრებით დაზარალდნენ მევენახეები, სულ 655 ადამიანი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით გადაწყდა დაზარალებული მევენახეებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომპენსაციის გაცემა.

მუნიციპალიტეტში, მერიისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის სპეციალისტების შემადგენლობით შეიქმნა ზარალის შემსწავლელი კომისია, რომელმაც მფლობელებთან ერთად ადგილზე შეისწავლა ყველა დაზიანებული ნაკვეთი და ინფორმაცია მოაწოდა სოფლის განვითარების სააგენტოს.

უახლოეს დღეებში დასრულდება დაზარალებულთათვის კუთვნილი კომპენსაციების ჩარიცხვა.

რაც შეეხება მოსავლის გადარჩენასა და ზარალის ანაზღაურებას, არსებობს ყველაზე მარტივი გზა – მოსავლის დაზღვევა. თუმცა, ზოგიერთმა სადაზღვევო კომპანიამ პირნათლად არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

– მუნიციპალიტეტის ორგანოთა წინასაარჩევნო პერიოდში ყვარელში სტუმრობისას პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზგასმით განაცხადა, რომ ყვარლის სასმელი წყლისა და კანალიზაციის სისტემების სრული რეაბილიტაცია მოხდება მომავალი წლიდან, რას გვეტყვით, მოგვარდება ეს პრობლემა?

– რაც შეეხება ქალაქ ყვარლის წყალმომარაგების თემას, გაცნობებთ, რომ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ გამოაცხადა ტენდერი, რაც გულისხმობს ქ. ყვარელში წყალარინებისა და წყალმომარაგების ქსელის სრულ რეაბილიტაციას და ქალაქის 24 საათიან წყალმომარაგებას.

ტენდერი შედგა, მიმდინარეობს შერჩევა-შეფასების ეტაპი, გამოვლინდება გამარჯვებული და მომავალი წლიდან ყვარელში დაიწყება პირველი ეტაპის სამუშაოები, რომლის ღირებულებაც შეადგენს 49 მილიონ ლარს.

– სოფლებში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდათ წყალგაყვანილობის სისტემებს, კიდევ თუ არის პრობლემები ამ სფეროში დარჩენილი?

– მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა სოფლების წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად, პრობლემები მაინც დარჩენილია და ძალისხმევას არ დავიშურებთ მათ აღმოსაფხვრელად.

– არის თუ არა ახალი პროექტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს?

– მუნიციპალიტეტის მერია ცდილობს, რომ მოარგოს არსებული სოციალური პროგრამები ყველა მოწყვლად ჯგუფს. ყოველი ახალი პროგრამის დანერგვა ხდება წინა წლის სტატისტიკის შესწავლით და შესაძლებლობის ფარგლებში ხდება ან ახლის დამატება, ან უკვე არსებულის გაუმჯობესება.

– გაჭირვებულ, მიუსაფარ ადამიანთა და ობოლ ბავშვთა დასახმარებლად რას ითვალისწინებთ?

– გაჭირვებულ, მიუსაფარ და ობოლ ბავშვთა დასახმარებლად მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება, რომლის საქმიანობა მოიცავს, როგორც ბავშვთა კეთილდღეობას და დაცვას, ასევე ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერებაზე მიმართული პროგრამების შემუშავებას.

გვაქვს სატელეფონო ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ ისარგებლონ სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით.

– განათლების სისტემის განვითარების მიზნით მომავალი წლიდან რა იგეგმება, კერძოდ, საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისთვის, პედაგოგთა, აღმზრდელთა და დამხმარე პერსონალის ხელფასების გაზრდისთვის?

– მომავალ წელს საბავშვო ბაღებში დაგეგმილია:

ხელფასების მატება, აღმზრდელისა და აღმზრდელების თანაშემწეებზე 100 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენ თანამშრომლებზე 10 პროცენტით.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტრატეგიის 2021-2025 წლის გეგმების განხორციელება.

HACCP-ის პროგრამის დანერგვა საბავშვო ბაგა-ბაღებში. აღმზრდელ პედაგოგების გადამზადება.

სახანძრო უსაფრთხოების რეგულაციების დანერგვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სტრატეგიის შექმნა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პირთა პასუხისმგებლობებს საგანგებო სიტუაციებისას.

– სპორტის განვითარებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის რა სახის ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ?

– ტრადიციულად გაგრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა ჩვენს ახალგაზრდობას ხელი შევუწყოთ, მისდიონ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან კვლავ დაჯილდოვდებიან მოქმედი და ვეტერანი სპორტსმენები, რომლებიც წარმატებით იასპარეზებენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სარბიელზე.

– ახალგაზრდების ხელშეწყობის პროექტის „იდეების კონკურსი“-ს გაგრძელება თუ გაქვთ გათვალისწინებული მომავალი წლის ბიუჯეტში?

– ახალგაზრდობის ხელშეწყობის პროექტი „იდეების კონკურსი“ წარმატებულად დაინყო და აუცილებლად გაგრძელდება, რითაც კიდევ უფრო შეეწყობა ხელი ახალგაზრდობის დაინტერესებას, ჩაერთონ ბიზნესში, განახორციელონ თავიანთი იდეები და ხელი შეუწყონ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

აღნიშნული პროექტის დასაფინანსებლად 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 150,0 ათასი ლარი.

– ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით პროექტები თუა დაგეგმილი მომავალი წლიდან?

– როგორც მოგეხსენებათ მსოფლიოში არსებულმა კოვიდინფექციამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ტურიზმის სექტორს, გამონაკლისი არც ჩვენი მუნიციპალიტეტი ყოფილა. ყვარელში მკვეთრად შემცირდა ვიზიტორთა რაოდენობა, რაც ნეგატიურად აისახა ტურიზმის სფეროში დასაქმებული მოსახლეობის შემოსავალსა და საქმიანობის ინტენსივობაზე. ასეთი არასახარბიელო ტენდენციის მიუხედავად ადგილობრივი ხელისუფლება ინტენსიურად ემზადება პოსტ პანდემიური პერიოდისთვის და ცდილობს ახალი ტურისტული პროდუქტებით და გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურით შეხვდეს პანდემიის დასრულებას და ტურისტული ნაკადების ზრდას.

კერძოდ 2022 წლისთვის იგეგმება შემდეგი მასშტაბური ტურისტული პროექტები:

- ილია ჭავჭავაძის მუზეუმის რეაბილიტაცია და კეთლმოწყობა;
- „ილიას გორის“ რეკრეაციული არეალის განახლება;
- უნიკალური ტურისტული პროდუქტის – ზინობიანის ეთნოსოფლის კონცეფციის განვითრება, რაც გულისხმობს სოფლის შიდა გზების მოასფალტებას და სკვერის და ეთნოგრაფიული მუზეუმის მოწყობას;
- კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით ასევე ვგეგმავთ დოლოჭობის ბაზილიკასთან მიმართებაში მთელ რიგ საქმიანობებს, რაც ხელს შეუწყობს ამ ძეგლის უნიკალური პოტენციალის გამოყენებას და მის პოპულარიზებას.

უფრო ინტენსიურად მოხდება ილიას ტბის და სხვა რეკრეაციული სკვერების და პარკების მოვლა-პატრონობა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ყვარელს, როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ვიზიტორებისთვის.

– უღრმესი მადლობა ბატონო გივი, საინტერესო და სასიხარულო ინტერვიუსთვის.

გილოცავთ დამდეგ შობა ახალ წელს, სასახელო შედეგების მიღწევას გისურვებთ, მრავალს დაესწარით თქვენს ულამაზეს და სამაგალითო ოჯახთან ერთად.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

25 დეკემბერს ყვარელში ნაძვის ხე აინთო

მიუხედავად პანდემიისა ყვარელი საახალწლო დღესასწაულს მომზადებული ხვდება.

ყვარლის ცენტრალურ, ილია ჭავჭავაძის გამზირზე საახალწლო განათებები დამონტაჟდა, რამაც ისე გაალამაზა, რომ მნახველთა აღფრთოვანებას იწვევს.

კათოლიკური შობის დღეს, 25 დეკემბერს მუნიციპალიტეტის მთავარი ნაძვის ხის ანთების სანახავად უამრავი ადამიანი მოვიდა, მათ შორის უმეტესობა სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები და სკოლის მოსწავლეები იყვნენ.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი და დამდეგი ახალი წელი მიულოცა მათ.

თანამოქალაქეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრმა დავით მათიკაშვილმა, მიულოცა დამდეგი ახალი წელი და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

პატარები გაახარა თოვლის პაპის მობრძანებამ, რომელმაც საახალწლო საჩუქრად ტკბილეულის 500 პაკეტი ჩამოურიგა მათ.

ალეკო ქაფიანიძე

კახეთში საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის, გივი მეტრეველის ხელმძღვანელობით, კახეთის რეგიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების საკრებულოების თავმჯდომარეებთან და მერებთან, საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სახელმწიფო რწმუნებლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სხდომაზე რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსმა, ნათია ტატიშვილმა რეგიონულ ჭრილში დეტალური პრეზენტაცია – 2021 წელს, კახეთში განხორციელებული პროექტების შესახებ წარადგინა.

„საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, განიხილეს 2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი პროექტები და 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

საბჭოს სხდომაზე, ასევე, იმსჯელეს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (PIRDP) ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო იდეებისა და პროექტების შესახებ“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ყვარლის მუნიციპალიტეტში სასურსათე კალათა 1300-ზე მეტ აღსაზრდელს გადაეცა

ყვარლის მუნიციპალიტეტში არსებული 22 საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებისთვის სასურსათო კალათების გაცემა დამთავრდა. ამის შესახებ ინფორმაციას ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, პროცესს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ზურაბ ნემსაძე ხელმძღვანელობდა.

„კორონავირუსის გავრცელების გამო, სააღმზრდელო პროცესი ყვარლის მუნიციპალიტეტში შეჩერებულია, პროდუქტი, რომელიც საბავშვო ბაღებში ბავშვთა კვებისთვის იყო გათვალისწინებული, აღსაზრდელების მშობლებს გადაეცა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

რა უნდა ვიცოდეთ 2022 წლის მთავარ სიმბოლოზე? – ცისფერი წყლის ვეფხვი უკონკურენტოდ!

2022 წლის სიმბოლოა ცისფერი წყლის ვეფხვი, ნათელი, სავსე მოვლენებით. აღმოსავლეთში ცისფერი აღიქმება ერთ-ერთ ყველაზე არასტაბილურ ფერად, რაც ნიშნავს, რომ უნდა ვიყოთ მზად ცვლილებებისათვის.

კიდევ რა უნდა ვიცოდეთ 2022 წლის მთავარ სიმბოლოზე?

ცისფერი წყლის ვეფხვის დახასიათება:

2022 წელს დროა, საბოლოოდ მიიღოთ გადაწყვეტილებები იმ ცვლილებების შესახებ, რომელზეც აქამდე მხოლოდ ოცნებობდით. სასარგებლოა სამუშაო ადგილის შეცვლა. მეტიც, შეგიძლიათ, რადიკალურად შეცვალოთ მოღვაწეობის სფერო, საქმიანობა. საჭიროა, დაეუფლოთ ახალ უნარებსა და სპეციალობას და წინ იაროთ!

2022 წელს წარმატებული, იღბლიანი იქნება ახალ საცხოვრებელ ადგილას გადასვლაც, შეიცვალოთ არა მხოლოდ ბინა, არამედ რეგიონიც.

ვეფხვი – თავნება და ჯიუტი ცხოველია. მასთან ყურები გამახვილებული უნდა გქონდეთ და არა დახშული. ვეფხვი ცნობისმოყვარეა, უყვარს სიახლეები და ამ გზაზე მისთვის უცხოა შიში.

წყალი გარკვეულწილად არბილებს, ანეიტრალებს ვეფხვის ჟინიანობას, აქრობს აგრესიასა და ამშვიდებს მას.

ბუნებაში წყალი სასარგებლოა, მაგალითად, გვალვისას, ან გადაიქცევა მეამობოხე ტალღად. ამიტომაც საჭიროა, დროულად გავიგოთ მისი მახასიათებლების შესახებ და გავითვალისწინოთ.

როგორ შეძლებთ ოჯახისათვის წარმატების მოტანას?

საუკეთესო გზა თილისმის მოპოვებაა. ასეთი რამ წელს შეიძლება, იყოს ვეფხვის ფიგურა. კარგია, თუ იგი დამზადებული იქნება უბრალო, ან ნახევრადძვირფასი მეტალისაგან (ლითონისაგან), ან წყლის მსგავსი, გამჭვირვალე ფერის მასალებით: ბროლით, მინით. თილისმა შეიძლება, ასევე, გაკეთდეს, როგორც ინტერიერის ნივთის სახით. მაგალითად, ნათურები. კარგი იქნება, თუ თილისმას ატარებთ, პიჯაკზე გულსაკიდის (ე.წ. „ბროშის“), ან ჯაჭვზე, კულონის სახით.

დაიმახსოვრეთ, 2022 წლის დადგომამდე აუცილებელია თილისმის შეცვლა, აიღეთ ყველა ძველი, შარშან შეძენილი თილისმა და მის ადგილას დადეთ ახალი, რადგან ვეფხვს არ უყვარს კონკურენტები.

სად უნდა გაატაროთ ახალი წელი?

ვეფხვის წელიწადს შეგიძლიათ, შეეგებოთ როგორც სახლში, ისე გარეთაც. მთავარია, რომ მოერიდოთ დიდ კამპანიას, ხალხმრავლობას, რადგან ვეფხვი, თავისი ბუნებით, მარტოსულია და მისთვის არც ისე კომფორტულია, თუ ირგვლივ ბევრი სახე ტრიალებს, ირევა. უმჯობესია, თუ საახალწლო სუფრასთან დაბრძანდებით კარგად ნაცნობ ადამიანებთან, ან ნათესავებთან, ახლობლებთან.

რა უნდა ჩაიცვათ?

მოერიდეთ ტანსაცმელზე „კატის„პრინტს (გამოსახულებას).

არ იფიქროთ, რომ თუ ვეფხვის გამოსახულებიან კაბას ჩაიცვამთ, ეს მას გაუხარდება, პირიქით, არ ესიამოვნება, რადგან უკვე აღვნიშნეთ, რომ ვეფხვს არ უყვარს კონკურენტი. ნუ იქნებით ვეფხვის მეტოქე!

როგორ შევარჩიოთ ნეიტრალური ფერები?

აქცენტი გადაიტანეთ ქვიშისფერზე, კრემისფერზე, ოქროსფერზე, ასევე, მომწვანო ელფერზე: დაწყებული წვნიანი, ქორფა ბალახის ფერიდან დამთავრებული ზეთისხილის ფერამდე. მორთულობისათვის, ასევე, შეგიძლიათ, შეარჩიოთ ტერაკოტის ფერი.

ტერაკოტა – წითელისა და ყავისფერის კომბინაცია, თუმცა არსებობს ათობით ჩრდილში. ნარინჯისფერი, აგური, ატამი, სტაფილო და მრავალი სხვა ფერი შეიძლება, მივაკუთვნოთ ტერაკოტას.

ტერმინი „ტერაკოტა“ უკავშირდება ლათინურ სიტყვას „ტერა“, რომელიც აღნიშნავს „დედამიწას“. ადგილებში, სადაც ეს სიტყვა გამოიყენება, ხშირად გვხვდება წითელი მიწები.

2022 წლის პალიტრა საკმაოდ მდიდარია იმისათვის, რათა თქვენთვის სასურველი ფერი შეარჩიოთ.

აქსესუარები სასურველია, შეარჩიოთ წყლის სტიქიის ფერებში.

როგორ მოვრთოთ საახალწლო სუფრა ვეფხვისათვის?

2022 წელს სადღესასწაულო სუფრას აქვს იგივე ფუნქცია, რაც ტორტზე ალუბალს, ანუ რთავს.

ხელსახოცები და სუფრა (მაგიდის გადასაფარებელი) უნდა იყოს თეთრ და ოქროსფერ ფერებში, მათ კომბინაციას ვირჩევთ. როგორც სხვა წლებში, საახალწლო სუფრა, ასევე, ითხოვს წითელი და მწვანე ფერებით შევსებას. მთავარია, წითელი არაა მთავარი ფერი და ვეფხვი არ გაღიზიანდება.

მაგიდაზე უნდა იყოს სანთლებიც: სანთლები ვერცხლისფერი, ან ოქროსფერი ძაფებით, ლენტებით გაფორმებული.

მაგიდაზე აუცილებლად უნდა იყოს ხილი: ხურმა, ფორთოხალი და მადარინი.

როგორ მოვრთოთ სახლი ახალი წლის დღესასწაულისათვის?

წლის გმირმა, მასპინძელმა (წყლის ვეფხვმა) თავი უნდა იგრძნოს მყუდროდ, მშვიდად და კომფორტულად. არა მყვირალა ფერებს, განსაკუთრებით ისეთი, როგორიც საფრთხეზე მიანიშნებს, ანუ გამორიცხეთ მკვეთრი წითელი, ნარინჯისფერი და ნეონის ყველა ფერი (ნეონის ემისიური სპექტრი ულტრაიისფერიდან ინფრაწითელ ხაზამდე). ისინი კომფორტს კი არ გააძლიერებენ, არამედ პირიქით, სულს შფოთვასა და ნერვიულობას მოუტანენ.

ნაძვის ხეზე აუცილებლად უნდა იყოს ვეფხვის ფიგურები. ის შეიძლება, დამზადებული იყოს სხვადასხვა მასალისაგან.

ვეფხვი დიდი კატაა და მასაც უყვარს მზეს მიფიცხება, რბილ ბალახზე ნამოწოლილს. სახლში შეგიძლიათ, ამ ყველაფრის იმიტაცია გააკეთოთ. რბილი პლედები, გადასაფარებლები, დეკორატიული ბალიშები – გამოიყურება მყუდროდ და ლამაზად. ფერთა გამა – ოქროსფერიდან ოხრამდე (ოხრა, ანუ ჟანგმიწა – ბუნებრივი მინერალური საღებავი, წითელი, ან მოყვითალო, ან ბუნებრივი ყვითელი ფერის).

ვეფხვს, ასევე, მოეწონება, თუ სახლი ჩაფლული იქნება სიმწვანეში. აქ, რა თქმა უნდა, არანაირი ხელოვნური გადაწყვეტა, მხოლოდ ბუნებრივი პალმები, გვიმრები და სხვა მწვანე ფოთლებით მდიდარი მცენარეები.

როგორ მოვრთოთ საახალწლო სუფრა ვეფხვისათვის?

2022 წელს სადღესასწაულო სუფრას აქვს იგივე ფუნქცია, რაც ტორტზე ალუბალს, ანუ რთავს.

ხელსახოცები და სუფრა (მაგიდის გადასაფარებელი) უნდა იყოს თეთრ და ოქროსფერ ფერებში, მათ კომბინაციას ვირჩევთ. როგორც სხვა წლებში, საახალწლო სუფრა, ასევე, ითხოვს წითელი და მწვანე ფერებით შევსებას. მთავარია, წითელი არაა მთავარი ფერი და ვეფხვი არ გაღიზიანდება.

მაგიდაზე უნდა იყოს სანთლებიც: სანთლები ვერცხლისფერი, ან ოქროსფერი ძაფებით, ლენტებით გაფორმებული.

მაგიდაზე აუცილებლად უნდა იყოს ხილი: ხურმა, ფორთოხალი და მადარინი. ეს იშვიათი წელიწადთაგანია, როცა სუფრაზე ხორცი მისასალმებელია (ვეფხვს ხომ ის ძალიან უყვარს, როგორც მტაცებელ ცხოველს).

რაც უფრო მეტი ხორცის კერძი დახვდება ვეფხვს სუფრაზე, მით უკეთესი. კერძოდ, რა სახის ხორცეულობაზეა საუბარი: კურდღელი, ქათამი, ღორის ხორცი თუ ძროხის, მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ვეფხვს ხორცი დახვდეს უხვად.

არც მწვანე სალათები უნდა დავივიწყოთ, ვეფხვი პატივს სცემს ბუნებას, სიმწვანეს. ეფექტური იქნება კერძების გაფორმება მწვანილის ყლორტებით.

რა ვაჩუქოთ ცისფერი ვეფხვის წელიწადს ადამიანებს?

ის წელი არაა, რომ საყოფაცხოვრებო ნივთებს მიაქციოთ ყურადღება. საჩუქარი შეიძლება, იყოს, პირიქით, არაპრაქტიკული, მაგრამ, როგორც იტყვიან, სულისათვის. ჩამონათვალი არც ისე მცირეა: პარფიუმერია, ნახატები, წიგნები, ლამაზი ღამის თეთრეული და საცვლები, ნივთი ჰობისათვის (მაგალითად, მამაკაცებს ანკესი სათევზაოდ, ან სხვა აქსესუარები, ბინოკლი, ზურგჩანთები და ა.შ.).

რას უნდა ველოდოთ ცისფერი წყლის ვეფხვისაგან?

ვეფხვი არავითარ შემთხვევაში არაა ბოროტი, იგი უბრალოდ მტაცებელია. ის აქტიურია, მუდამ ეძებს ნადავლსა და ახალ სარგებელს. ვეფხვი განასახიერებს ენერგიას, 2022-ც იქნება მასპინძლის მსგავსი:

კაშკაშა, ენერგიული და არაპროგნოზირებადი!

ვეფხვის წელს შეიძლება, იყოს კარიერული აფეთქება. ერთი ნახტომი და უკვე აბსოლუტურად ახალ სიმაღლეზე იქნებით. მთავარია, მზად იყოთ ასეთი საპასუხისმგებლო სვლისათვის. განსაკუთრებით გაუმართლა მათ, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება საჯარო გამოსვლებს, პოლიტიკას, შემოქმედებას.

წარმატება დადგება, თუ შესაბამისი მზაობა არსებობს და საქმეს შუა გზაზე არ მიატოვებთ, რისი საფრთხეც, სამწუხაროდ, ძალიან დიდია.

2022 წელს უნდა ეცადოთ, ისწავლოთ ახალი რამ, დახვეწოთ საკუთარი თავი, დაეუფლოთ ახალ პროფესიასა და უნარებს.

ვეფხვი საკმაოდ მოსიყვარულეა. ბევრს მის წელიწადს ელოდება რომანტიკული ისტორიები და მგზნებარე რომანები.

ვეფხვის წელს ჯანმრთელობის პრობლემები დიდად არ იქნება. მთავარია, არ დაარღვიოთ რეჟიმი, იყავით აქტიური.

2022 წლის მახასიათებლები ნიშნები

ჩინურ მითოლოგიაში ვეფხვს ხშირად ადარებენ დაჭიმულ მშვილდ-ისარს. ნებისმიერ დროს შეუძლია მას გაფრენა და მიზნამდე მიღწევა. ეს ნიშნავს, რომ გაქვთ დიდი ალბათობა, სწრაფად მოექცეთ ათეულში. მთავარია, არ გამოტოვოთ ხელსაყრელი დრო და იყოთ მზად.

ვეფხვის წელინადს ბავშვის დაბადება კარგის ნიშანია.

ამასთანავე, ცეცხლის სტიქიასთან იყავით ფრთხილად. ცეცხლთან თამაში არ შეიძლება, ნუ მოიქცევით დაუდევრად.

intermedia.ge

საახალწლო სუფრა მდიდარია გემრიელი და ნოყიერი კერძებით, თუმცა...

ჩვეულებრივ, ჩვენ წინასწარ ვგეგმავთ, როგორ შევხვდეთ ახალ წელს და რა მოვამზადოთ საახალწლო სუფრისთვის. რადგან ჩვენი ტრადიციული საახალწლო სუფრა მრავალფეროვანია და შეიძლება ითქვას გადატვირთული, ხშირია კვებითი ინტოქსიკაცია სადღესასწაულო დღეებში.

ალკოჰოლით ინტოქსიკაციის მაჩვენებელიც სწორედ ახალი წლის დღესასწაულზე იზრდება. ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ძირითადი მიზეზი მრავალფეროვანი, სხვადასხვა სახის ალკოჰოლური სასმელის ჭარბად მიღებაა.

ალკოჰოლით ინტოქსიკაციის დროს ვეცადოთ, რომ ადამიანი შევაფხიზლოთ, სუფთა ჰაერზე გავიყვანოთ. თუ გონზეა სასურველია მექანიკურად ღებინების გამოწვევა. ამ დროს პაციენტმა უნდა მიიღოს მაგარი ყავა, ჩაი ან მინერალური წყალი. დაძინებისას უსაფრთხო პოზაში დავაწვინოთ, გვერდულად.

ალკოჰოლურ სასმელზე გაზიანი, ტკბილი სასმელის დაყოლება არ არის რეკომენდებული. გირჩევთ, რომ ალკოჰოლს მიაყოლოთ წყალი, მინერალური სასმელი და ახლად მომზადებული ტკბილი კომპოტი.

ნაბახუსევზე შეგიძლიათ დალიოთ გაზგასული მინერალური წყალი, მიირთვათ მაწონი, კეფირი, მჟავე ან ახლად მოხარშული ტკბილი კომპოტი. თუ გაუსაძლისი თავის ტკივილი გაწუხებთ, მიიღეთ ტკივილგამაყუჩებელი, ზომიერად. სასარგებლოა ხილიც, განსაკუთრებით ციტრუსი, ანანასი, ბოსტნეულის წვნიანი.

ცნობილია, რომ ხილი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

დიდი რაოდენობით შეიცავს წყალს, C ვიტამინს, ფრუქტოზას, უჯრედისს. ასევე მდიდარია სხვა ვიტამინებით, მინერალებითა და ანტიოქსიდაციური მოქმედების მქონე ნივთიერებებით.

შაქრის შემცველი სხვა პროდუქტის მსგავსად, ხილის გემოვნური თვისებებიდან გამომდინარე, მისი მიღება ტვინს სიამოვნებს, თუმცა გლუკოზის შემცველი პროდუქტებისგან განსხვავებით, ხილში შემავალი ფრუქტოზა ნაკლებად მოქმედებს სისხლში შაქრის შემცველობის მომატებაზე. ხილში შემავალი უჯრედისი ასევე ხელს უწყობს ნანლავთა პერისტალტიკის გააქტიურებას.

-ყოველდღიურად დიდი რაოდენობით ხილის მიღება არ არის რეკომენდებული. უმთავრესი ზომიერების დაცვაა და განსაკუთრებით მისთვის, ვისაც ჭარბი წონა, სიმსუქნე, ჰიპერქოლესტერინემია ან შაქრიანი დიაბეტი ანუხებს. ხილში შემავალი ფრუქტოზაც შაქრის ერთ-ერთი სახეობაა. გლუკოზასთან შედარებით უფრო უსაფრთხო შაქრის სახეობას მიეკუთვნება, თუმცა ამ შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია, რომ სხვა გამოწვევის წინაშე დადგეთ და ზომიერების შეგრძნება დაკარგოთ, რადგან ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, თუ ადამიანის ტვინი გლუკოზის მიღებაზე სიმაძღრის შეგრძნებით რეაგირებს, ფრუქტოზის მიღების შემთხვევაში მადა მეტად აღიძვრება და შიმშილის ჰორმონები თავისუფლდება. ამიტომაც არაა აზრს მოკლებული ხალხში გავრცელებული ფრაზა, რომ „ხილი უფრო აშიებს“.

დღესდღეობით აქტუალურია ღირებული კალორიის ცნება, რაც გულისხმობს, რომ საკვები არ უნდა იყოს ცარიელი კალორია, ანუ შაქარი (მაგალითად, ტკბილი გაზიანი სასმელები ან ნამცხვრები), რომელიც ენერგიას მოგვცემს, მაგრამ საჭირო ვიტამინებითა და მინერალებით ვერ შეგვავსებს. ხილი სავსებით აკმაყოფილებს ღირებული კალორიის პრინციპს და მისი ზომიერად, ყოველდღიურ რაციონში ჩართვა აუცილებელია. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კალორიებით დატვირთული ხილია ბანანი, ყურძენი, ხურმა, ლეღვი, ნებისმიერი სახის ჩირი. ყოველთვის უმჯობესია, რომ ხილი ცოცხალი სახით მირთვათ.

საახალწლო სუფრაზე ძირითადად ხვდება სეზონური ხილი, კერძოდ, ფორთოხალი, მანდარინი, კივი, ბანანი, ვაშლი, ბროწეული. ჩამოთვლილთაგან ყველაზე დაბალკალორიული, ამასთან, ვიტამინებითა და მინერალებით მდიდარია კივი და ფორთოხალი. მაგალითად, 100 გრამი ფორთოხალი სულ რაღაც 47 კკალორიას შეიცავს და სავსეა ვიტამინით, კალციუმით; 100 გრ კივი კი მხოლოდ 60 კკალორიას შეიცავს. ის შეგივსებთ C ვიტამინის დღიურ მოთხოვნილებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზამთარში. ასევე მინდა დავარღვიო მითი და გითხრათ, რომ რკინის შემცველობა ბანანსა და კივში მეტია, ვიდრე ვაშლში, თუმცა რკინაზე დღიურ მოთხოვნილებას მხოლოდ ამ ხილითაც ვერ შეივსებთ.

რაც შეეხება ეგზოტიკურ ხილს, მაგალითად, ანანასი, გრეიპფრუტი, ავოკადო ძალიან სასარგებლოა და ზომიერების ფარგლებში ხშირად არის ჩართული წონის კლებისთვის განკუთვნილ დიეტებში. ანანასი და გრეიპფრუტი საკმაოდ დაბალკალორიულია. ავოკადო მაღალკალორიული ხილია, თუმცა არა ნახშირწყლების, არამედ სასარგებლო ცხიმის ხარჯზე, რაც მას ჰიპერქოლესტერინემიის და შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებისთვისაც რეკომენდებულ პროდუქტად აქცევს. მასში მეტი კალიუმია, ვიდრე ბანანში, რომელიც ცნობილია როგორც კალიუმით მდიდარი ხილი.

ხილის მირთმევა უმჯობესია დღის პირველ ნახევარში, როდესაც ადამიანი მეტად დატვირთულია ფიზიკურად და ინტელექტუალურად და მეტ კალორიას ხარჯავს, რადგან ხილში მაინც სწრაფად შეწოვადი ნახშირწყლები შედის. თუმცა არანაირი მეცნიერული მტკიცებულება არ არსებობს იმისა, რომ ხილის მიღება სხვა საკვებთან ერთად ან დღის მეორე ნახევარში მავნებელია, ან ხილს სასარგებლო თვისებებს უკარგავს. მთავარია ზომიერების დაცვა და დაბალანსებული მრავალფეროვანი კვება, ზედმეტი კილოგრამებისგან თავის არიდების მიზნით.

დღესდღეობით საკმაოდ რთულია ჯანსაღი პროდუქტის შერჩევა. რასაკვირველია, უმჯობესია, რომ შევიძინოთ ენდემური, ქიმიურად ნაკლებად დამუშავებული, ჯანსაღ ნიადაგზე მოყვანილი ხილი. ნუ ენდობით ხილის მომხიბლავ გარეგნულ იერს! ჯანსაღ ხილს არ უნდა ჰქონდეს პრიალა ზედაპირი. ასევე ხილის არომატი და გემო ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმია იმის გასარკვევად, თუ რამდენად ბუნებრივი გზითაა ხილი მოყვანილი.

მოამზადა
ია გიგიაშვილმა

ახალი წელი და ქართული ფოლკლორი

ახალი წელი ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაულია, რომელსაც დიდი თუ პატარა განსაკუთრებული სიხარულით ელის. ამ დღეს ყველა ცდილობს, დაივიწყოს ყველაფერი ცუდი, მადლიერებით გააცილოს ძველი წელი და იმედის თვალით შესცქერის ახალი წლის შემობრძანებას. საახალწლო საწესჩვეულებო ცერემონიალი საქართველოში მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, თუმცა, ცალკეულ კუთხეებში წესები მაინც განსხვავებული იყო. თუ როგორ ხვდებოდნენ ახალ წელს ძველად, რატომ ჰქონდა ამ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა და ეწინააღმდეგება თუ არა აღნიშნული რიტუალები ქრისტიანობას? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან სიხარულიძე.

ქეთევან სიხარულიძე: ახალი წელი, დროის ახალი მონაკვეთის დასაბამი, განსაკუთრებული მაგიური ნიშნით აღიბეჭდა ადამიანის წარმოსახვაში და ამიტომაც მას ყველგან გამორჩეულად ზეიმობდნენ. იგი ეფუძნებოდა წლის პირველი დღის მაგიას, ანუ იმის რწმენას, რომ ეს დღე განაპირობებდა დამდეგი წლის ბარაქიანობასა და საზოგადო ვითარებას. საახალწლო რიტუალთა მთელ წყებას საკმაოდ ღრმა რელიგიური ფესვები აქვს. წელიწადის დროთა მონაცვლეობა დაუკავშირდა ნაყოფიერების ღვთაების მითოსს, რომლის მიხედვითაც ეს ღვთაება ზამთარში გადადიოდა საიქიოში, მიწისქვეშა სამყაროში, სასიცოცხლო ძალებიც წყვეტდნენ თავიანთ მოქმედებას. გაზაფხულზე ნაყოფიერების ღვთაება ბრუნდებოდა და ზამთარში მიძინებული ბუნება კვლავ იღვიძებდა. ძველების წარმოდგენით, სწორედ ამ დროს იწყებოდა სიცოცხლის ციკლის ახალი ეტაპი, ანუ ახალი წელი. ეს იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საზოგადო მოვლენა, ამიტომ მას განსაკუთრებული რიტუალებით აღნიშნავდა ყველა..

იწყებოდა იგი პირველი ხნულის გავლებით, რასაც საქართველოში მიწის გაღვიძება ერქვა. ხნული, იგივე კვალი, იყო ის გზა, რომელსაც მიწისქვეშეთიდან მოჰყვებოდა ნაყოფიერების ღვთაება. იგი განახლებული უბრუნდებოდა თავის საუფლოს და თან მოჰქონდა ახალი სიცოცხლე. მას ხვდებოდნენ საჩუქრებით (პროდუქტით), რათა იგივე მიეღოთ მისგან. ამიტომაც გამოირჩევა ახალი წელი სანოვაგის სიუხვით.

პირველი ხნული (კვალი) გაჰქონდა კაცს, რომელიც საზოგადოებაში ცნობილი იყო დავლათიანობით (ბედის, ბარაქიანობის, ღვთის მადლის მქონე), რათა მის მიერ მოხნულ მიწას მოსავლიანობა დაჰბედებოდა. აქედან მოდის მეკვლეს სახელიც, რომლის ფუნქცია დავიწროვდა იმის შემდეგ, რაც ახალი წლის აღნიშვნამ უმთავრესად საოჯახო ხასიათი მიიღო.

როგორ ემზადებოდნენ ახალი წლის შესახვედრად?

საქართველოში (ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში) ახალი წლის დღესასწაული გამორჩეულად აღინიშნებოდა. მასთან დაკავშირებული რიტუალები ყველგან თითქმის ერთნაირი იყო, რადგან უმთავრეს მიზანს ამ რიტუალებისა შეადგენდა სიუხვისა და კეთილდღეობის მოპოვება. რასაკვირველია, იყო კუთხური თავისებურებებიც, მაგრამ ისინი მხოლოდ ნიუანსებში განსხვავდებოდნენ ძირითადი წეს-ჩვეულებებისგან. ახალი წლის წინა დღეებში იწყებოდა დიდი სამზადისი: სახლისა და კარმიდამოს დასუფთავება, სანოვაგის მომზადება საგანგებო სუფრისთვის, სხვადასხვა ფორმის (ცხოველების, ფრინველების, შრომის იარაღების) კვერების ცხობა და სხვა. ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად საგანგებო პურს აცხობდნენ, რომელსაც ქართლში, იმერეთსა და რაჭაში ყურძნის მტევნის მოყვანილობა ჰქონდა. გურიაში კი კვერის სახით ცხვებოდა და მას აგუნას პური ეწოდებოდა. სამეგრელოში კი აგუნას სახელზე ოთხი ხაჭაპური ცხვებოდა. გამომცხვარი კვერები თუ პურები ხონჩაზე დაწყობილ სხვა სანოვაგესთან ერთად მარანში შეჰქონდათ, სადაც საგანგებო ტექსტს წარმოთქვამდნენ, თან გადაბრუნებულ საწნახელს ნაჯახის ყუას უკაკუნებდნენ. შემდეგ იმართებოდა რიტუალური ჭამა-სმა.ოჯახის თავი გარეთ გადიოდა ხონჩით ხელში და ახალი წლის მოსვლას ულოცავდა შინაურ პირუტყვსა და ფრინველს, ვაზს, კარ-მიდამოს. ვენახში მიჰქონდათ ვაზის პური, ხელადა ღვინო და ნასუქი მამალი. გურიაში ამ დროს ღორის თავიც დაჰქონდათ. მოხარშულ თავს ხორცს მოაშორებდნენ და დარჩენილ ძვალს უკაკუნებდნენ, თან დააყოლებდნენ:"ჩვენს მამულში – ყურძენი, სხვის მამულში – ფურცელი".

ეზოს შემოვლის შემდეგ ოჯახის უფროსი სახლში შედიოდა სავსე ხონჩით, მიმოაბნევდა ხორბალს (ან სხვა მარცვლეულს) გამრავლების ნიშნად და დაილოცებოდა, ოჯახის წევრებს ულოცავდა ახალ წელს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ კერაში ცეცხლი ჩაუქრობლად შეენახათ. სიტყვიერადაც ცდილობდნენ ცეცხლისთვის ძალის შემატებას:

„ცეცხლო ელოდე, მელოდე,
მე მელოდე, მზეს ელოდე,
ადრიანად ავდგებოდე,
დოჩხოურა (ანუ ნაკვერჩხლიანი)
დამხვდებოდე".

ანთებული მუგუზლიდან დაცვენილი ნაპერწკლების სიმრავლე პურის, ღვინის, დოვლათის, ოჯახის გამრავლების სიმბოლო იყო.

დილით წყალსაც მიულოცავდნენ. დიასახლისები წყაროზე მიდიოდნენ, ულოცავდნენ და შინაური ფრინველისთვის საკენკს ალბობდნენ, რომ მათ გამრავლების უნარი მომატებოდათ. ხევსურები მიდიოდნენ მდინარესთან, სიტყვიერად მიულოცავდნენ ახალ წელს და ძღვნად ერბოიან-ყველიან პურის ნაჭერს აგდებდნენ წყალში.

როცა ახალი წლის ღამე იწურებოდა, სახლში შემოდიოდა პირველი სტუმარი – მეკვლე. ხალხის რწმენით, მის ნაფეხურს მოჰყვებოდა მომავალი წლის ბედი, რაც დიდად იყო დამოკიდებული მეკვლეს პიროვნებაზე, მის ბედიღბლიანობაზე. იგი ხელდამშვენებული მოდიოდა იმის ნიშნად, რომ ბარაქიანობა შემოჰქონდა ოჯახში. ხონჩაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ვაზის ლერწი, თავის სურვილს კი აუცილებლად ლექსით გამოთქვამდა:

„ახალ წელიწადს წლის თავსა
გიკვლევ ვაზისა რქითამცა,
შენიმცა სახლი ავსილა
ტყავ-კაბა-ზარბაბთითამცა;
ცხენზედაც მოგადგებიან
მშვილდისრიანნი ხმლითამცა,
ტახტზედაც დაგიდგებიან
თავ-ოქრო-გვირგვინითამცა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს,
მოყვარე მრავალგზითამცა,
ასრე დასტკბი ამ ქვეყანასა, ვით
თაფლი ფუტკრის სკითამცა;
უხვათამც მოგეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითამცა".

ახალი წლის დღეს საქართველოში ზოგან „ბასილის დღეს" უწოდებდნენ, რადგან 1 იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ბასილი დიდს იხსენიებს. ამ დროს აცხობდნენ ადამიანის ფორმის „ბასილას კვერებს", რომელსაც ასევე"-კაცბასილას„უწოდებდნენ. ჩიჩილაკსაც ბასილას წვერები ერქვა.

მეკვლეობის ტრადიციას დღესდღეობით ძველი სახე და ფუნქცია აღარ აქვს, თუმცა ახალი წლის ღამით მოსულ პირველ სტუმარს დღესაც მეკვლედ თვლიან და, ძველი წესის დაცვით, ისიც აუცილებლად ხელდამშვენებული შედის ოჯახში.

ძველად საქართველოში ახალი წელი სხვადასხვა დროს იწყებოდა. რა გაპირობებდა თარიღის ცვლილებას და ბოლოს როდის დადგინდა ახალი წელი 1 იანვარს?

საქართველოში ახალ წელს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ. IV საუკუნეში 6 აგვისტოს ზეიმობდნენ, VII საუკუნიდან იგი ბიზანტიურ-ქრისტიანულმა ინდიქტიურმა, ანუ სექტემბერის წელიწადმა შეცვალა. IX საუკუნის 20-იანი წლებიდან გაზაფხულზე მარტიდან იწყებოდა დროის ახალი ათვლა, XIV საუკუნიდან კი მისი თარიღი საბოლოოდ დადგინდა ევროპული კალენდრით იანვარში.

25 დეკემბერი (7 იანვარი) ეკლესიამ ქრისტეშობის დღედ IV საუკუნეში დაანესა. იგი წინ უძღოდა ახალ წელს და მორწმუნისათვის მასზე უფრო მნიშვნელოვანიც იყო. რელიგიური თვალსაზრისით, ყოველგვარი განახლების სათავე ქრისტეს ამქვეყნად მოვლინებაა. მას მოსდევს ახალი სიცოცხლე, დროის განახლება. XX საუკუნის დასაწყისში ასტროლოგიური გამოთვლების საფუძველზე დადგინდა, რომ კალენდარში ცვლილებები შეეტანათ. 1918 წელს რუსეთში შემოიღეს დასავლურ-ევროპული კალენდარი. მიღებული დეკრეტით, 31 იანვრის მომდევნო დღე იყო არა 1, არამედ – 14 თებერვალი. აქედან მოყოლებული, დროის ათვლა გაიყო ორად: ძველი სტილი შეინარჩუნა ეკლესიამ, ხოლო ახალ სტილს მიჰყვება სახელმწიფო და სამოქალაქო მოსახლეობა. ასეა ეს საქართველოშიც. რეფორმის შედეგად ახალი წელი მოექცა შობისა და ნათლისღების დღესასწაულთა წინ.

შობის დღესასწაულზე კარდაკარ სიარული და „ალილოს„სიმღერა დღემდე შემორჩენილია. რა განსხვავებაა დღეს ამ დღესასწაულის აღნიშვნაში?

საქართველოში შობა უდიდესი დღესასწაულია და მას თავისებური რიტუალი ახლავს – კარდაკარ სიარული და მამაკაცთა მიერ"ალილოს„სიმღერა. ფიქრობენ, რომ მისამღერი სიტყვა და რიტუალის სახელი"ალილო„ მომდინარეობს"ალილუიადან". ეს წეს-ჩვეულება თითქმის ერთნაირად ტარდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ალილოს მომღერლები დახელოვნებულნი იყვნენ ტრადიციული გალობა-სიმღერის შესრულებაში. კარდაკარ ჩამოვლისას მათი ხმა მთელ მხარეს ეფინებოდა:

„ოცდახუთსა დეკემბერსა შობა
გათენებულაო,
ქვაბსა ბეთლემისასა ქრისტე
დაბადებულაო.
მადლი მახარობელსაო, ქვეყნის
გამხარებელსაო.
სახლო ღმერთმა აგაშენოს,
მხიარულად დაგამშვენოს".

ზოგჯერ ერთსა და იმავე სოფელში მომღერალთა 2-3 ჯგუფიც გამოჩნდებოდა. მოსახლეობა ხელგაშლილი ელოდა მათ, რადგან სჯეროდათ, რომ მეალილოების დასაჩუქრება ბარაქას შემატებდა მათ ოჯახებს. კარდაკარ ჩამომვლელები თვითონაც ითხოვდნენ საშობაო საჩუქარს:

„ალათასა ბალათასა,
ხელი ჩაყავ კალათასა,
ცოტა რამე გამოგვიტა,
ღმერთი მოგცემთ ბარაქასა".

ალილოს ლექსებში შექებულია პურადი და უხვი მასპინძელი, ძუნწი და ხელმოჭერილი კი – გაკიცხული. მეალილოები ზოგჯერ კატეგორიულებიც იყვნენ, თუ მასპინძელი საჩუქრის მიცემას აყოვნებდა:

„ტყიდან მგელი გამოვარდა,
თხა შეგვიჭამა ნისლაო,
თუ გამოგაქვთ, გამოიტათ,
სხვაგანაც გვინდა მისვლაო".

ალილოზე სიარულის ტრადიცია კვლავ ააღორძინა საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. შეგროვებული სანოვაგე და შესაწირი ურიგდებათ უმწეოებსა და პატიმრებს.

რამდენად ეწინააღმდეგება აღნიშნული რიტუალები ქრისტიანობას?

ახალი წლის დღესასწაული უძველესი წარმოშობისაა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა დიდი ნაწილი წარმართობიდან მომდინარეობს, მაგრამ დღესაც არსებობს, რადგან მთავარი მიზანი ამ დღესასწაულისა – ცხოვრების განახლება, ბარაქიანობის მოთხოვნა, სიხარულის მოლოდინი – ადამიანის უმთავრესი მოთხოვნილებაა და იგი ქრისტიანული რელიგიისთვისაც არ არის უცხო.

როდის ჩნდება ნაძვის ხე და ჩიჩილაკი?

საქართველოში ახალ წელს ახლდა მისი აუცილებელი ატრიბუტი – ჩიჩილაკი, რომელსაც"ბასილას წვერებსაც-„ეძახდნენ. იგი წმინდა ბასილის სახელს უკავშირდება და, რასაკვირველია, ქრისტიანობის ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო. თუმცა მორთული ხის სიმბოლიკაც ძალიან ძველია და ნაყოფიერებას უკავშირდება. ფიქრობენ, რომ ჩიჩილაკი თავისი ბურბუშელებით მზის სხივებსაც განასახიერებდა. მის თავზე ჯვრის გამოსახულებას აკეთებდნენ და ჩირით, ხილით, სუროს ფოთლებით რთავდნენ. მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საახალწლო ხონჩაზე. ნათლისღების წინა დღეს კი ბასილას წვერებს წვავდნენ და მის ფერფლს ატანდნენ გასული წლის უსიამოვნებებს. ზეპირგადმოცემით, თითქოს პირველი ჩიჩილაკი ღვთისმშობლის მეუღლემ, მართალმა იოსებმა (იგი ხომ ხურო იყო) გაუკეთა პატარა იესოს გასართობად.

დროთა განმავლობაში საახალწლო მორთულობებში წამყვანი ადგილი ნაძვის ხემ დაიკავა. საიდან მოვიდა ეს ტრადიცია? გერმანული მოდგმის ხალხებში უძველესი დროიდან არსებობდა რწმენა, რომ მარადმწვანე მცენარეები სასიკეთო გავლენას ახდენენ მოსავლიანობაზე. ამიტომ ტოტები, ან მთელი ხეც მოჰქონდათ სახლში. ეკლესია ებრძოდა ამ წარმართულ ჩვეულებას, მაგრამ მერე დაეკანონა და შობას დაუკავშირა. უჭკნობ სიმწვანეს აღიქვამდნენ, როგორც მარადიულ სიცოცხლეს. ნაძვის სამკუთხა კონტური წმინდა სამებას გამოხატავდა. ნაძვს რთავდნენ ვაშლებით, რითაც ის სამოთხის ხეს განასახიერებდა. ასევე, მასზე კიდებდნენ ვაფლის ნაჭერს, რომელიც ზიარების პურის სიმბოლო იყო. ნაძვის წვერს კი რთავდნენ"ბეთლემის ვარსკვლავით".

რუსეთში ნაძვის მორთვა დაიწყეს XIX საუკუნეების შუა ხანებიდან. თავდაპირველად ამას აკეთებდნენ გერმანულ ოჯახებში, რომლებიც მრავლად იყო როგორც პეტერბურგში, ისე – მოსკოვში. შემდეგ ეს ახალი ჩვეულება გავრცელდა რუსებს შორისაც. სავარაუდოა, რომ საქართველოში ნაძვის ხის მორთვა საახალწლოდ რუსეთიდან შემოვიდა. დღეს ქართულ ოჯახებში ისევ მკვიდრდება ჩიჩილაკი და იკავებს ადგილს ნაძვის ხის გვერდით.

ვეფხვის წელი – რა უნდა იყოს 2022 წლის საახალწლო სუფრაზე?

ბევრს მიაჩნია, რომ თუ დამდეგი წლის სიმბოლოს ოჯახიში შექმნილი ატმოსფერო, მორთულობა და საახალწლო სუფრა მოეწონება, – მისი ცხოვრება, ახალ წელს, წარმატებული იქნება. ამიტომ, ბევრი ადამიანი ინტერესდება, თუ რა უნდა მოამზადოს საზეიმო სუფრისთვის, რომ ვეფხვის წელს სათანადოდ შეხვდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამდეგი წლისგან არ უნდა ველოდოთ განსაკუთრებულ, მოულოდნელ ცვლილებებს და იმპულსურ ქმედებებს. ხოლო, იღბალი მისკენ იქნება, ვინც ცვლილებების გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც დიდი ხნის მანძილზე, ოცნებად რჩებოდა.

რაც შეეხება სუფრას, ვეფხვი დიდებული და მტაცებელი ცხოველია, რომელიც პატივისცემას მოითხოვს. ამიტომ, ახალ 2022 წელი მასშტაბურად უნდა აღინიშნოს... და ეს იმდენად სუფრას კი არა, უფრო მეტად, სახლის საზეიმო მორთულობას და მასში შექმნილ ატმოსფეროს ეხება. პანდემიის მიუხედავად, ახალი წლის ღამეს, ყველა კარგ განწყობაზე უნდა იყოს და დამდეგ წელს დადებითი ემოციებით უნდა შეხვდეს. ხოლო, ისეთი ცხოველისთვის, როგორიც ვეფხვია, სუფრაზე ხორციანი კერძი აუცილებლად უნდა იყოს. ხორცის სახეობას კი, მნიშვნელობა არ აქვს. საზეიმო სუფრაზე ასევე უნდა იყოს მწვანილი, ბოსტნეული და ხილი.

ხორციანი კერძები

საახალწლო სუფრისთვის სავსებით შესაფერისი იქნება ფრინველის (ქათამი, იხვი, ინდაური), ცხვრის ან ღორის ხორცით მომზადებული კერძები. ხოლო, საქონლის და ხბოს ხორცის მომზადებისგან, უმჯობესია, თავი შეიკავოთ. არსებობს ლეგენდა იმის შესახებ, რომ თითქოს, ხარმა ვეფხვი დაამარცხა. ამიტომ, აღმოსავლეთში, ამ ცხოველებს ყველაზე საშიშ მტრებად თვლიან.

ხორცის მომზადება კი, უმჯობესია ერთ დიდ ნაჭრად. ხოლო, უშუალოდ, სუფრაზე მიტანის წინ, შეგიძლიათ დაჭრათ, რადგან ვეფხვი მარტოხელა ცხოველია და არასდროს ჭამს ერთი ჭურჭლიდან სხვებთან ერთად. რაც შეეხება თერმულ დამუშავებას, ვეფხვი შემწვარი ხორცის წინააღმდეგი არ იქნება. თუმცა, ხორცის მომზადება ბოსტნეულთან ერთადაც შეიძლება. თუ შესაძლებლობა არსებობს, იდეალური ვარიანტი მწვადი იქნება.

ბოსტნეული

რადგან საახალწლო სუფრაზე ხორცი იქნება, რომელიც საკმაოდ მძიმე საკვებად ითვლება, მასთან ერთად, აუცილებლად უნდა იყოს ბოსტნეული ან ბოსტნეულით მომზადებული კერძები. ასევე შეგიძლიათ, სუფრაზე ნებისმიერი მწნილის მიტანა.

ვეფხვს ესიამოვნება, თუ ხორცის გარნირი ყვითელი ან ნარინჯისფერი იქნება. ამ ეფექტის შესაქმნელად კი, შეგიძლიათ სტაფილო, ზაფრანა ან კურკუმა გამოიყენოთ. საახალწლო მენიუში აუცილებლად უნდა იყოს სალათებიც და ასევე შეგიძლიათ, სოკოს და ქათმის ხორცის ჟულიენიც მოამზადოთ.

დესერტები

რაც შეეხება დესერტებს, ეს შეიძლება იყოს კლასიკური ნაპოლეონი ან ჰაეროვანი პანაკოტა. სუფრაზე შეგიძლიათ მიიტანოთ ფუმფულა „ბრაუნი" ან ორფეროვანი კექსი „ზებრა".

სასმელები

გამაგრილებელი სასმელები უნდა იყოს ბუნებრივი და სასურველია, ყვითელი ან ნარინჯისფერი შეფერილობის. ეს შეიძლება იყოს ვაშლის, ფორთოხლის ან ანანასის წვენები ან კომპოტი. ვეფხვს მოეწონება, თუ ოჯახის დიასახლისი უალკოჰოლო სასმელს თავადვე მოამზადებს.

ხოლო, სპირტული სასმელის შერჩევისას, ასევე უნდა გახსოვდეთ, რომ ის, ასევე, ყვითელი შეფერილობის უნდა იყოს. მაგ., შამპანური, თეთრი ღვინო ან ღია ფერის ხილის ლიქიორი.

რა არ უნდა იყოს საახალწლო სუფრაზე

რადგან ვეფხვს თევზის დაჭერა არ შეუძლია, შეგიძლიათ, საერთოდ უარი თქვათ ზღვის პროდუქტებზე. თუმცა, თუ გინდათ, რომ სუფრაზე თევზეული იყოს, შეგიძლიათ თქვენი საყვარელი კერძი მოამზადოთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მთავარი კერძი სუფრაზე, ხორციანი უნდა იყოს.

საახალწლო მენიუდან უნდა გამორიცხოთ მარცვლეული და ბურღულეული. ამ პროდუქტების ჩანაცვლება კარტოფილით ან სხვა ბოსტნეულით შეგიძლიათ.

და ბოლოს, კერძების უფრო სურნელოვანი და გემრიელი რომ იყოს, მომზადებისას, სუნელები გამოიყენეთ. ეს ძალიან კარგი მეთოდია იღბლის და წლის მთავარი სიმბოლოს – ვეფხვის, კეთილგანწყობის მისაზიდად, რადგან მას მკაფიო და ძლიერი არომატები მოსწონს.

ᲐᲮᲐᲚᲝ ᲬᲔᲚᲝ, ᲐᲒᲕᲘᲡᲠᲣᲚᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲐᲢᲕᲠᲐ – ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ

სოფო გოგიაშვილი-ლურსმანაშვილი, – ერთ-ერთი გამორჩეული დიასახლისი ქალბატონი, – დაიბადა გრემის მთავარანგელოზის, ამ დიდებული ტაძრის შემოგარენის სოფელ ენისელში. ენისლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. ყვარელში მცხოვრებმა მისმა მეუღლემ ზურა ლურსმანაშვილმა კი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამშენებლო ფაკულტეტი დაამთავრა. ქალბატონი სოფიკო ოცნებობდა ბედნიერ ცხოვრებაზე, კარგ სამსახურზე და მომავალს დიდი იმედითაც შეჰყურებდა. ასეც მოხდა, ეყოლათ ვაჟიშვილები დავითი და გიორგი. სამწუხაროდ, 90-იანი წლები უმეტესი ოჯახისთვის რთული პერიოდი აღმოჩნდა ეკონომიკის თვალსაზრისით. ამიტომ ოჯახის გასაძლიერებლად და სარჩენად ვაჟიშვილების მამა დროებით მათგან მოშორებით 12 წელი შრომობდა და ოჯახს ასე არჩენდა. შემდგომში შვილებიც წამოიზარდნენ და სახელმწიფოს მცირეკრედიტიანი სესხით მეფუტკრეობას მიჰყვეს ხელი.

მათ კარგად აქვთ გათვითცნობიერებული დიდი ილიას ნათქვამი, „ჩვენი ეკონომიკური მხარე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლის მეურნეობა“, – რომ „გლეხკაცი საქმის კაცია, დრო და მოცდენა ძვირად უღირს“, ამიტომ ისინი დროს უქმად არ კარგავენ და ყოველთვის თავიანთ ეზოკარმიდამოში ტრიალებენ. ას სკამდე ფუტკრის მოვლა მართალია საინტერესო საქმიანობაა, მაგრამ საკმაოდ შრომატევადია. ჩვენი ინტერვიუც სწორედ ამ თემიდან დაიწყო.

– ქალბატონო სოფიკო, მართლაც როგორ ახერხებთ ამას. ასეთი ფიზიკურად მძიმე ტვირთის ტარება თქვენთვის სირთულეს არ წარმოადგენს?

– იდეა, ოჯახისთვის ფუტკარი შეგვეძინა და ჩვენი მეურნეობა შეგვექმნა, ჩემი შვილის გიორგის წამოწყება იყო. იმ პერიოდში გიორგი, ყვარლის თიბისი ბანკში მუშაობდა და მცირე სესხით 30 სკა ფუტკარი შევიძინეთ. რთული იყო დაწყება, რადგან ამ საქმიანობაში ბევრი რამე ჩვენთვის გაურკვეველი იყო. თუ არ იშრომე და არ იცხოვრე მათთან ერთად, ისე ფუტკარს ვერ მოუვლი. რთულია და საინტერესოც. ვსწავლობდით, ვაკვირდებოდით და ერთობლივმა შრომამ შედეგი გამოიღო. დღეს 98 სკა ფუტკარი გვყავს. სირთულე ნებისმიერ სამიანობაშია. მთავარია მონდომება და რწმენა რომ შენ შეძლებ ამას.

– როგორც ვიცი, დაიბადეთ მშრომელი მშობლების ოჯახში. ალბათ ტრადიციულად მათგან გამოგყვათ, რომ თქვენ „ქარიშხალივით“ მოქმედი პიროვნება ხართ. არაფერი არ გეზარებათ, თქვენთვის შრომის რთული გზა არ არსებობს. ასეა?

– ჩემი მშობლები პატიოსანი მშრომელი ადამიანები იყვნენ და მთელი ცხოვრება ჩემი და ჩემი ძმის მომავლისთვის ყველაფერს აკეთებდნენ. მქონდა სიყვარულით სავსე ბავშვობა.

მადლობა თუ ასე მიცნობთ და თვლით, რომ სირთულეების გადალახვა შეშიძლია. ეს, რა თმა უნდა, მშობლებმა მასწავლეს და რაც მთავარია, ოჯახის დიდმა სიყვარულმა შემაძლებინა. იყო დრო, როცა ჩემთვის წარმოუდგენელი იყო დილიდან საღამომდე ოჯახისთვის მიმეხედა და უარი მეთქვა სამსახურზე, მეგობრებთან ყოველდღიურ ურთიერთობაზე. არასოდეს არ უნდა თქვა არასოდეს. დღეს მე სწორედ იმ კატეგორიის ქალი ვარ, რომელიც შვილებისთვის და ოჯახისთვის არანაირ სირთულეს არ შეეუშინდები და ყველაფერს გავაკეთებ მათ გასაძლიერებლად.

– წლები თქვენ საზოგადოებრივ საქმიანობაში იყავით ჩართული, – მუშაობდით გრემის მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნად. ალბათ ეს იყო თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი და საინტერესო ახალგაზრდობის წლები. ამ დროის გადასახედიდან რას გაიხსენებდით? რამეთუ მუშაობა გიწევდათ იუმორით სავსე მერაბ სეფაშვილთან.

– მადლობა ამ შეკითხვისთვის. მე დამაბრუნეთ იმ წლებში, რომელიც ჩემთვის ყველაზე ლამაზი და ბედნიერი პერიოდი იყო. კი, ვმუშაობდი გრემის მეურნეობის კომკავშირის კომიტეტში მდივნად. რაიონის კომკავშირის კომიტეტის პირველი მდივანი იყო უსაყვარლესი პიროვნება და ძალიან კარგი მეგობარი მერაბ სეფაშვილი. მის გვერდით იყვნენ სოსო ხარებაშვილი, ლევან კოკორაშვილი და ნინო ბურკიაშვილი. ყველა, ვინც მაშინ ვმუშაობდით, ერთობლივ მეგობრულ გარემოში ვაკეთებდით ჩვენზე დაკისრებულ საქმიანობას. მათ გვერდით, მე ჩამოვყალიბდი კარგ მეგობრად და ძლიერ პიროვნებად. ამის მაგალითს თვითონ მერაბი გვაძლევდა. რთულ სიტუაციაშიც კი ცდილობდა თბილი დამოკიდებულება შეენარჩუნებინა და იუმორით გაეხალისებინა ჩვენთან ურთიერთობა. ნათელი მის ხსოვნას. ასევე საინტერესო და ხალისიანი წლები მახსოვს ბატონ ილო ნაზრიშვილთან მუშაობის დროს, რომელიც იყო განათლებული, კულტურული და გაწონასწორებული პიროვნება თანამშრომელთა მიმართ.

– შემდგომში, როდესაც შვილები პატარები იყვნენ, ყველანაირ სამსახურზე უარი თქვით. როგორ ფიქრობთ, თქვენგან ამ გადაწყვეტილების მიღება სწორი იყო? როგორი შვილები გყავთ. რას საქმიანობენ დღეს ისინი და რამდენი შვილიშვილის ბებიაა ქალბატონი სოფიკო?

– როდესაც შვილები წამოიზარდნენ, მე არჩევანის წინაშე დავდექი. უნდა დამეტოვებინა სამსახური. ეს იყო რთული 90-იანი წლები. ჩემმა მეუღლემ, შვილების მომავლისთვის საქართველო დატოვა და რუსეთში წავიდა სამუშაოდ. მე დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დავდექი. გავხდი დედა, დიასახლისი, იმ ვალდებულებით ზურასთვის კარგად აღზრდილი შვილები და ძლიერი ოჯახი დამეხვედრებინა. ეს წლები ყველაზე რთული პერიოდია ჩემს ცხოვრებაში. შეუძლებელი შევძელი. იყო ბევრი წინააღმდეგობა, ბევრი სირთულე და დღევანდელი გადასახედიდან მე არ ვნანობ. რაც გავაკეთე, ჩემი წვალება დაფასდა. მყავს ორი უსაყვარლესი შვილი თავისი ლამაზი ცოლშვილით. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ევლოთ სწორი გზით და ლამაზად ეცხოვრათ ჩვენი წვალებით გაკვალულ გზაზე. უფროსი ვაჟი თბილისში ცხოვრობს და თავისი შრომით დაფასებულია, გიორგი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში – ეკონომიკის სამსახურის უფროსად მუშაობს. მყავს ორი შვილიშვილი ანასტასია და ალექსანდრე. ბედნიერი დედა და ბებია ვარ.

– როგორც ეკონომისტი, რამდენად მომგებიანია მეფუტკრეობა და რამდენად ჭირს ბაზარზე თაფლის რეალიზება?

– ჩვენი დაინტერესება ფუტკარი შეგვეძინა, რა თქმა უნდა, ოჯახის ეკონომიურად გაძლიერებასთან იყო დაკავშირებული. დიდი შრომაც მის გამო გავწიეთ. შრომა დაფასდა. პროდუქტი, რასაც ფუტკარი გვაძლევს, უხვადაა, მარგამ მისი რეალიზაცია ჭირს. არ არის ჩასაბარებელი პუნქტები, არ არის ბაზარი, ამისთვის კი დახმარება გვესაჭიროება მთავრობისაგან.

მეფუტკრე დროს არ უნდა კარგავდეს იმაზე ფიქრში, სად გაყიდოს ეს სიკეთით სავსე პროდუქტი. მჯერა მდგომარეობა გამოსწორდება და შრომაც დაფასდება.

– თუ ეხმიანებით ხოლმე თქვენს ყოფილ თანამშრომლებს, გრჩებათ დრო ამისთვის?

– წლები გავიდა. ვინც ჩემს გვერდით მუშაობდა, ყველა მიყვარს. ზოგი ცოცხალიც აღარაა და გული მტკივა, მენატრებიან, მაგრამ დრო ნაკლებად მაქვს და ურთიერთობისთვის ვეღარ ვიცლი, სამაგიეროდ მე მყვანან ისეთი მეგობრებიც, რომლებთანაც სიყვარულით სავსე ურთიერთობა მაკავშირებს და მიხალისებენ ცხოვრებას – კომპიუტერის საშუალებით.

– რაზე გწყდებათ გული?

– ბევრ რამეზე. საქართველო ქართველებისგან დაიცალა. ოჯახები გაქრა და უცხო ქვეყნებში გადაიხვეწნენ, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა დაიკარგა, ქართველი ქართველისთვის მტრად იქცა... ბევრია გულდასაწყვეტი, გასახარია ცოტა.

– რას ეტყოდით დისახლისებს, რომლებიც ახლა საახალწლო ფუსფუსში არიან ჩართულნი, ემიგრაციაში წლობით მყოფ ქალბატონებს, მამაკაცებს, მათ, ვისაც ენატრებათ მშობლიური მიწა, ოჯახი, შვილები, შვილიშვილები და ახლობლები? –უფალმა ბრძანა: „ითხოვე და მოგეცემაო“. ღმერთს შევთხოვ, აზრთა გამრიგეს, რომ ახალმა 2022 წელმა ჯანმრთელობა, სიმშვიდე, ურთიერთგაგება, სიყვარული და ეკონომიკური სიძლიერე მოუტანოს ჩვენს სამშობლოს.

– მე დიასახლისი ვარ და ვიცი რა შრომატევადია ოჯახის გონივრულად გაძღოლა. გამორჩევით ვულოცავ ამ ახალ წელს იმ ქალბატონებს, რომლებიც დღეს წინა საახალწლო ფუსფუსში არიან დაკავებულები.

ვფიქრობ დღეს ყველაზე მეტად გამხნევება სჭირდებათ ქართველ ემიგრანტებს. მინდა გამოვხატო ჩემი გულწრფელი დამოკიდებულება მათ მიმართ და ილიას ნაკვნარიდან ყველას გასაგონად ვუთხრა: „ჩვენ თქვენი ტკივილი გვტკივა და სიხარულიც გვახარებს“. გისურვებთ სამშობლოში მალე დაბრუნებას და მამაპაპეულ ფუძეზე ღირსეულად ცხოვრებას.

მე მჯერა მომავლის.ამბობენ, იმედი ყველაზე გვიან კვდებაო.

ახალო წელო, აგვისრულე ყველა ნატვრა – გააძლიერე და გააერთიანე ჩვენი სამშობლო. დაე, ყველას ოჯახში მანათობელ შუქურად ენთოს იმედი.

გმადლობთ ამ გულწრფელი საუბრისთვის. თქვენს ოჯახს ვულოცავთ ახალ 2022 წელს. ჯანმრთელობა, სიხარული, გამრავლება და ბარაქა დაგბედებოდეთ.

ესაუბრა
ᲓᲐᲚᲘ ᲢᲐᲢᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲒᲔᲑᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲐᲠᲖᲔ

ახალწლის მიგებებას საქართველოს სამეფო კარზე სერგი მაკალათია 1923 წლის (25) გზეთ „ბახტრიონში„ამგვარად აღწერს:

-საქართველოს სამეფო კარზე ახალწელიწადს დიდის ზეიმით ეგებებოდნენ. სასახლის ყოველივე ხელისუფალი, თავიანთ სახელოს მიხედვით, მეფის და მის სახლეულის მორთვა-მოკაზმვას, ამ დღის შესახვედრად, ერთის კვირით წინ შეუდგებოდნენ. მსახურთ-უხუცესი მოლარეთ-უხუცესისაგან მოიღებდა ძვირფას საფენებს და მეფეს სადარბაზო ოთახს მოუფენდა. მონადირეთ უხუცესი მეფეს შემოსავდა ძვირფასი ტანისამოსით: „მას წელიწადის თავს დღეს მეფე არავის (გან) შე (ი)მოსოს ამისგან კიდე, რომ მონადირეთ-უხუცესი ყვითლით ყაბარჩით შეიმოსების, სახელმოკლით, ტყავიანითა მოყვინთულითა, არა დია პრტყელად, თავსა და საყელოსა კარგისა ყვნიზისა და მაღლად აშვერილსა, მჭალოდ შეკერილსა ქუდსა დაარქვამს„* (იქვე 1,9). ამგვარად მორთულ მოკაზმულ მეფეს მაღალ სკამზე დასვამდნენ. საახალწლო ტაბლას, შუაზე ველურ ტახის თავით, წინ დაუდგამდნენ. ხელისუფალნი, თავიანთ სახელოს მიხედვით, მეფის გარშემო ზოგნი სდგებოდნენ და ზოგნი სხდებოდნენ: „მკერვალთ-უხუცესი და ტყის მცველნი დასხდებიან და მეხელადეთ-უხუცესნი დგანანო„* (ხელმწიფის კარის გარიგება 1, 24. ექვ. თაყაიშვილის გამოცემაა 1920 წ.) პირველად მეფეს, ციხკრის ლოცვის დაწყებამდე, ვაზირთა შორის უპირველესი, მწიგნობართ-უხუცესი უკვლევდა ჯვრით, ხატით და ძვირფას ნივთების მირთმევით.

მილოცვის შემდეგ მწიგნობართ-უხუცესი მეფე-დედოფალს ტკბილეულით „დააბერებდა“. იმავე დღეს წირვის შემდეგ დაიწყებოდა მილოცვები ერისთავთა, ვაზირთა, დარბაზის ერთა და სხვა ხელისუფალთა უმფროს-უმცროსობით.

ყოველი მომლოცველი მიართმევდა მეფეს მის სახელოს დამახასიათებელ სახის ძღვენს. ამირ-სპასალარის მეფისათვის ძღვნად უნდა მიერთმია-ბურთი, ჩოგანი, ცხენი უკეთესი მოიღოს საგამგეოსა (კარის გარიგება 28,334-335). დადიანს საწელისწდისთავო ძღვნად უნდა მიერთმია; სამი ცხენი, ორი უკეთესი და ერთი სატალაზე (იქვე 28. 336-337). საწელისწადისთავო ძღვენი აგრეთვე ემართა ზოგიერთ მონასტრებსაც.

კარის გარიგებაში მოხსენებულია გელათური ძღვენი-„საჭარმაგეო სეფისკვერი, სამი შეკანული ღვინო, ზუთხი და სატალაზე ცხენი. (ვახუშტის საქართვ. ისტ.გვ. 14. ბაქრაძის გამოც.) დანარჩენ ხელისუფალთა მიერ მირთმეულ ძღვენის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, მხოლოდ ნათქვამია: „და სხვანი ოფიკალნი თავის-თვისთა შესატყვისა-ო “. საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა შორის ერისთავთა შესახებ ნათქვამია, რომ ისინი ულოცავდნენ მეფეს „არა კეთილთა ცხენის მირთმევითო„ე.ი. ულოცავდენ გამხდარ და ჯაგლაგა ცხენებს.

გარდა ამისა, ყველა ზემოხსენებული მომლოცველნი მიართმევდენ მეფეს ისარს (უძველეს დროს) ანუ ტყვიას (შემდეგ) და წყევლა-კრულვით მოიხსენებდნენ მეფის მრტებს, შემდეგ კი, სიტყვებით: მრავალ ჟამიერ ჰყოს ღმერთმან მეფობა თქვენი და ისარი ესე ანუ ტყვია განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულთა“. *** (იქვე გვ. 14.)

მეორე დღე განკუთვნილი იყო ნადირობისთვის. ლაშქრობა-ნადირობას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ძველს საქართველოში. ამ გარემოებას ადასტურებს თვით ახალწლის წესებიც, სადაც მონადირეთ-უხუცესს და მის სახელოს უპირველესი ადგილი უჭრავს, ნადირობას ამ დღეს, გარდა სავაჟკაცო ასპარეზობისა და გართობისა, სამეკვლევო მნიშვნელობაც ჰქონდა, მასთან დაკავშირებული იყო დამდეგ წლის ყველგვარი ბედნიერება. ას წლის მეორე დღეს მეფე უფლისწულებით და დიდებულთა თანხლებით ნადირობდნენ, განსაკუთრებლივ მავნე ცხოველებზე.

ამგავრ ნადირობის მოსაწყობად ბაზიერთ-უხუცესი, ერისთავთა მიერ მორთმეულ „არა კეთილ ცხენებს დაახოცვინებდა წინა დღით და სანადიროდ ამორჩეულ მინდორზე დაჰყრიდნენ. ეს ადგილი შემოღობილი იყო და მეფის სადგომთან მოშორებით მდებარეობდა.

ღობის კარს ღამე განგებ ღიას სტოვებდნენ, რომ ლეშის სუნზე მავნე ნადირები შემოსულიყვნენ.

როდესაც სანადირო ალაგი ნადირით გაივსებოდა, სანადიროს მცველი დილა ადრიან ღობეს კარებს ჩუმად მიხურავდა და იქ მყოფ ნადირებს შიგვე მოამწყვდევდა.

იმავე დღეს მეფე დიდებულთა თანხლებით ცხენებზე მსხდომარენი სანადირო მინდვრისაკენ გაემგზავრებოდნენ. მათ მისვლისთანავე ღობის კარებს გაღებდნენ და დამწყვდეული ნადირები გარეთ გამოსცვდებოდნენ. ამ დროს შეიქმნებოდა თოფების და ისრების სროლა და ნადირთა ხოცვა.

რადგანაც ამ დღის ნადირობას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, ამიტომ ყველანი სცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ნადირი დაეხოცათ.

ნადირის სახით მათ წარმოდგენილი ჰქონდათ თავიანთი მტრები, რომლებიც ახალწელსაც არ მოუსვენებდნენ და ამიტომ სურდათ მათზე წინასწარ გამარჯვება ედღესასწაულნათ.

ნადირობის შემდეგ სიმღერით და მოლხენით მეფე-დიდებულებით უკანვე ბრუნდებდნენ „ესრეთ იკვლევდიან და შემოვიდიან-მხიარულნი სანადიმოდ“. (ვახუშტი. საქართვ. ისტ, გვ. 14. ბაქრაძ. გამოც.) დღესასწაულს მოჰყვებოდა სახელმწიფოს საანგარიშო დავთრების გასინჯვა და შემოწმება. მეფის დავალებით ამგვარი რევიზია მწიგნობართ-უხუცესს ჰქონდა მინდობილი. ის თავის თანაშემწის, საწოლის მწიგნობრის თანხლებით, სავაზიროთა საღაროებს დაუვლიდა, გასინჯავდა საანგარიშო დავთრებს და სისწორით წარმოებულ საბუთებს დაბეჭდვით ამტკიცებდა.

კარის გარიგებაში ამის შესახებ ნათქვამია ამილახვარი, მეჰბრეთ-უხუცესი, ზარდახნის-უხუცესი და მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახანს შევლენ და ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ და საანგარიშო გოდორსა შიგან ჩასდებსო“. (9 1913-196).

ამგვარი პირდაპირი ცნობები სხვა სავაზიროების შესახებ ჩვენ არ მოგეპოვება, გარდა ერთი მოკლე ნაწყვეტისა, რომელიც სამეფოს საღვინეს ეხება: „ანგარიში საანგარიშო გოდორთა შინა ძეს ო (იქვე 20-239).

მაგრამ შეგვიძლია ჩვენ მაინც ვიფიქროთ, რომ საწოლის, საჭურჭის და სხვათა სავაზიროთა მწიგნობარნიც ამგავრ ანგარიშებს ყოველწლიურად ადგენდენ და სახელწიფოს „საანგარიშო გოდორში“ იანხავდენ.

გარდა ამისა, სახელმწიფოს პასუხისმგებელ მოხელენი, როგორც იყვნენ მწიგნობარნი, საქმის ბეჯით და კანონიერ წარმოებისათვის სახელმწიფო სალაროდან საახალწლო ჯილდოს იღებდენ: „ზარდახნის მწიგნობარმა ყოველ რაი ასწეროს წლისა თავსა, ერთი უნიგირი ზარდახნის მწიგნობარ უნდა მოსცესო“. (კარის გარიგება 10 204-205).

ᲗᲔᲐ ᲪᲐᲒᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
„ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔ“

„საახალწლო ფიქრები“ – ქართველი მწერლები ახალ წელზე

ახალი წელი – ყველა ადამიანის ცხოვრებაში სიახლესთან, ახლის მოლოდინთან და ყოველივე ცუდის ძველ წელში დარჩენასთან ასოცირდება.

რას ფიქრობდნენ და რას წერდნენ დიდი ქართველი მწერლები ახალ წელზე? გთავაზობთ მათ ნააზრევს.

ვაჟა-ფშაველა – „საახალწლო ფიქრები“

ამ ახალწლის დამდეგს ეს ფიქრი მოდის ძალაუნებურად, რომ ყველამ მოინანიოს წარსულის წლის შეცოდებანი და ახალს წელს მივეგებნეთ ახალის ძალით, მხნეობით, გულწრფელად და ჩავჭიდოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ, და რომელ ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონის დაგვარად რაც-კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს – ეკონომიური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვა. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარს შინაურს საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით. თუ არა და, ტყუილი მოცდენაა, ამაო შრომაა, ვინც იმას ამბობს, კაცობრიობას უნდა ვარგოვო და ეს სარგებლობა ჯერ თავის ძმებისთვის ვერ მოუტანია, თავის ქვეყნისათვის – რომლის ღვიძლი შვილია, – რომლის ავი და კარგი ესმის (და თუ არ ესმის თავის შინაობის ავი და კარგი, ის სხვისას როგორ გაიგონებს და, მაშასადამე, ან რას არგებს).

აკაკი წერეთელი – „ახალი წელიწადი“

„რატომ არის ყოველთვის და მუდამ სასიამოვნო ახალი წელიწადი? რატომ გვიხარია ყველას ახალი წლის დადგომა? სულ უბრალო მიზეზის გამო: იმიტომ, რომ ადამიანი არასოდეს არ არის კმაყოფილი თავის წარსულის და აწინდელი ცხოვრებისა და ამ თავის ცხოვრების გაუმჯობესობას, ყველა თავის სურვილთა და წადილითა სისრულეში მოყვანას შემდეგში, ახალი წელიწადის განმავლობაში მოელის.

გასაკვირველი ეს არის, რომ ეს იმედი თითქმის მუდამ უმტყუნდება ადამიანს. თავის წადილი და ნატვრა თითქმის არასოდეს, არც ერთს ახალი წლის განმავლობაში არ უსრულდება, მაგრამ იმის ბუნება იმნაირად არის გაჩენილი, რომ სასოწარკვეთილებაში არ ვარდება, მაინც კიდევ მოელის, უცდის, იმედოვნებს და შეჰხარის ყოველ ახალ წელიწადს.

და ეს იმედი, ეს რწმენა, რომ მომავალ წელს შეასრულებს იმას, რაც გასულში არ შეუსრულებია, ანუგეშებს, ამხნევებს, ენერგიას აძლევს ადამიანს; ეს იმედი არის კაცობრიობის წინ წამყენებელი, აღმძვრელი ძალა პროგრესისა, როგორც იტყვიან“.

ილია ჭავჭავაძე – „საახალწლოდ“

„ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდან ერთი ფეხის გადადგმაღაა სიკვდილამდე. და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არარის განა? თუ ესეა, აბა ეხლა თარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად და მწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნიარა. ამაზე უკეთესი სანატრელი ვეღარა გვიპოვია-რა. ნატვრის უნარიც კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რაგზაა?

სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და განძლიერდი“ – აი ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა“.

სერგეი მესხი – „საახალწლო მასალათი“

„კარგიც არის ეს ახალი წელი და ცუდიც! კარგია, მაშინ, როცა წინ გაიხედავ და გამოგეხატება სხვადასხვა იმედები, სხვადასხვა სურვილი და ნატვრა, რომელთა აღსრულებასაც ამ ახალი წლის განმავლობაში მოელი.

ცუდია მაშინ, როდესაც უკან მოიხედავ და გავლილ წელს, ანუ კიდევ უარესი, გავლილ წელიწადებს ანგარიშს მოსთხოვ, დარწმუნდები, რომ ამ წელიწადმა შენთვის ფუჭად, უნაყოფოდ ჩაიარა; ჰხედავ, რომ არ აგისრულდა ის, რის აღსრულებაც სულით და გულით გწადოდა, და დარჩი ისევ ისე, როგორც შარშან ამ დროს იყავი. მაგრამ ის იმედი, რომ რაც შარშან ვერ შევასრულეთ, ის წელს აგვისრულდებაო, რასაც წასულ წელს ვერ ვეღირსეთ, იმას ამ დამდეგ წელს ვეღირსებითო,-გულს გვიმხნევებს მუდამ და სასოწარკვეთილებაში არ გვაგდებს.

მართლაც, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, – თუ მუდამ ეს იმედი, უკეთესი ბედისა და მომავლის იმედი არ გვქონდეს?! დავლაყდებოდით, დავმჟავდებოდით, გულხელდაკრეფილი დავჯდებოდით და შეუშფოთველად მეორედ მოსვლას დავუწყებდით მოლოდინს“

ახალი წელი საქართველოში

ახალი წელი საქართველოში წლის მნიშვნელოვანი დღესასწაულია, რომელსაც ყველა, პატარა თუ დიდი მოუთმენლად ელის. მოსახლეობა ახალ წელს ახალი იმედებით, სურვილებით და მიზნებით ეგებება სადღესასწაულო სუფრის ან ზეიმის ფონზე.

ახალი წლის ტრადიცია საქართველოში

ახალი წლის ტრადიცია საქართველოში მრავალფეროვანია და ქვეყნის ყოველი კუთხე განსხვავებულად აღნიშნავს მას. ადგილობრივები საახალწლო სამზადისს ორი ან ერთი თვით ადრე იწყებენ, რომ ახალი წლის ღამე ჯადოსნურად აღნიშნონ. და, თუ თქვენ ჯერ ისევ არ იცით სად გაატაროთ ახალი წელი ზღაპრულად, გაეცანით ჩვენს სტატიას, სადაც ბევრ სასარგებლო ინფორმაციას მიიღებთ.

ქართული კერძები, ტრადიცია, გართობა, ზეიმი, მხიარულება მეგობრებისა თუ ოჯახის წევრების წრეში და ახალი წლის ღამეს მეტი არც არაფერი სჭირდება იდეალურობისთვის.

ასე რომ, ჩვენ მზად ვართ გიამბოთ მეტი თუ როგორ აღინიშნება ახალი წლის დაუვიწყარი ღამე საქართველოში.

დეკემბერი

წლის ბოლო და ყველაზე „ფერადი“ თვე, დეკემბერი, საახალწლო დეკორაციებში მორთული ქალაქით ხვდება ახალ წელს. ყველა საახალწლო სამზადისში ერთვება და თვალებანთებულები ახალ წელს ელიან. დეკემბერში საახალწლო ღონისძიებები, დღესასწაულები და გართობის უამრავი საშუალება ერთად იყრის თავს, რომ წლის ბოლო ბედნიერად დასრულდეს.

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ახალ წელს ოჯახის წევრების და მეგობრების გარემოცვაში ხვდება. ამიტომ, ქართველებისთვის მნიშვნელოვანია ახალი წლის სუფრა იდეალურად გამოიყურებოდეს, იყოს ტრადიციული კერძებით და ტკბილეულით განყობილი.

იცით მაინც რას გულისხმობს ნამდვილი წინა საახალწლო სამზადისი? საახალწლო საჩუქრების მომზადებას, პროდუქტების შეძენას, ქალაქში დიდ საცობებსა და გრძელ რიგებში პურის შესაძენად საათობით დგომას, და სიხარულით გაწყობილ საახალწლო სუფრას.

31 დეკემბერი

ახალი წლის წინა დღეს ყველა ემზადება და საახალწლო სუფრაც იშლება. სუფრა გამორჩეულია, რადგან ის ძირითადად ტრადიციულად არის გაწყობილი. გოზინაყი, რომელიც სპეციალურად ახალი წლისთვის მზადდება ქართველების საყვარელი ტკბილეულია. ისეთი ტრადიციული კერძები და ტკბილეული,როგორიც არის საცივი, ხაჭაპური, ჩურჩხელა და გოზინაყი აუცილებელი ელემენტია საახალწლო სუფრისთვის.

როგორც კი, სუფრა მზად არის და საახალწლო ღონისძიებები იწყება, ახალი წლის დადგომის სურვილიც სულ უფრო და უფრო იზრდება. ხოლო, როდესაც საათი თორმეტს ჩამოკრავს ყველა ერთმანეთს ულოცავს ახალი წლის შემობრძანებას.

1 იანვარი

ახალი წლის პირველ დღეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ღამისთევით ხვდება. ყველაზე დიდი დღესასწაულის აღნიშვნას 1 იანვრის ღამის წუთებზე იწყებენ და რამდენიმე დღე აგრძელებენ მხიარულებას.

2 იანვარი – ბედობა

2 იანვარი საქართველოში ბედობის დღეა. ტრადიციის მიხედვით, ამ დღეს როგორც გაატარებ მთელი წელი ისე დაგებედება. ამიტომაც, ყველა ცდილობს ბედნიერება, სიხარული და სიმშვიდე დაიბედოს. დღის მთავარი გმირი კი არის „მეკვლე“, პირველი ადამიანი რომელიც სტუმრობს ოჯახს 2 იანვარს. ამბობენ, მეკვლეს დიდი მნიშვნელობა აქვს თუ ვინ იქნება ქართულ ტრადიციულ ოჯახში. მეკვლეც და მასპინძელიც ერთად იბედებს ბედნიერებას და აღნიშნავს ახალ წელს.

ძველით ახალი წელი

ძველით ახალი წლის ტრადიცია საქართველოში წლებია არსებობს. ძველით ახალ წელს საქართველოში 14 იანვარს აღნიშნავენ, თუმცა 1 იანვართან შედარებით ნაკლებად ემზადებიან ამ დღისთვის. ქართველები, ძველ წელს 14 იანვარს აღნიშვნით აუცილებელ და ახალ წელს ხვდებიან ახალი შემართებით.

საქართველო სხვა დანარჩენი ქვეყნებისგან განსხვავებული ტრადიციითა და საახალწლო სამზადისით გამოირჩევა.

როგორც ამბობენ, ახალი წლის ღამეს სასწაულები ხდებაო. ამიტომაც, გვჯერა, რომ ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული ოცნებები აუცილებლად აგისრულდებათ!

კიდევ ერთი გართულება გადატანილი კოვიდის შემდეგ

კორონავირუსული ინფექციის გადატანის შემდეგ, ადამიანს შეიძლება განუვითარდეს წნევის დეზადაპტაცია – „მუნჯი მკვლელი“.

მედიკოსების განცხადებით, ადამიანებს რომლებსაც ჰქონდათ მაღალი არტერიული წნევა, COVID – საავადმყოფოებიდან გამონერის შემდეგ, მათ ჰიპოტონია ანუ დაბალი წნევა აღენიშნებოდათ. ან პირიქით, მათ ვისაც დაბალი წნევა ჰქონდა, კოვიდის გადატანის შემდეგ წნევა არაკონტროლირებულად მაღალი აღენიშნებოდათ.

მაღალი არტერიული წნევა იწვევს სისხლძარღვების კედლების დისფუნქციას. თუ ადრე ამ პროცესის განვითარებას სჭირდებოდა წლები, ახლა კორონავირუსის გადატანის შემდეგ ამისთვის საკმარისი იქნება კვირები. ჰიპერტონია ინფექციის შემდეგ ზრდის ინფარქტისა და ინსულტის რისკს.

გადატანილი COVID-19-ის შემდეგ წნევის დეზადაპტაცია ხდება ვირუსით ადამიანის ნერვული სისტემის დაზიანების შედეგად. ამავე მიზეზით პაციენტები კარგავენ გემოსა და ყნოსვას.

ლალი ჩხიკვაძე

mkurnali.ge

ჰოეზია

ისევ მოველ თეთრი ვარდებით

თეთრი ვარდები
ქარმა წამართვა,
და გაიყოლა
შენზე დარდები.
უშენოდ გული
თუ კი ვერ გაძლებს,
წავალ და სადმე
დავიკარგები.

წვიმა გადაშლის
ყველა ნაკვალევს,
რაც სიყვარულმა
მოგვცა იარად,
მე კი ვარდების
ძებნაში გართულს
დამათენდება
ღამეც მზიანად.

და გადაღლილი
ძებნით გათანგულს,
გზა თუ ამებნა
ლაბირინთებში,
იცი, მომძებნე
ისე, ვით უწინ
შემეგებები
თეთრი ვარდებით.

ისე წავალ

ისე წავალ უცებ
რომ ნაკვალევს ჩემსას,
რაგინდ ბევრი ძებნო
ვერ მოაგნო ვერსად.
ისე წავალ უცებ
ვით ვარსკვლავი ცაზე,
მოციმციმე ცისფრად
უცაბედად გაქრეს.
ისე წავალ იცი?
გულს ნაღველი სწვავდეს,
და ყოველი წუთი
ტკივილებად გაჩნდეს.
ისე წავალ, როგორც
უნაპირო სევდა,
რომ ვერ გადასცურო
უჩემობა ჩემგან.
ისე წავალ იცი?
რომ ნაკვალევს ჩემსას
წავშლი ნაბიჯ-ნაბიჯ
ვერ მომძებნო ვერსად.

გვირილას ვკითხავ

არა მაქვს ამ წუთას სათქმელი,
მდუმარედ შევყურებ აწმყოს,
გვირილებს შენ მიერ მორთმეულს
ვუქცერი და თითქოს მათბობს.

დრო დგება როდესაც სიტყვები
კარგავენ ძალას, ვერ აწყობ,
სადღაც შორს აზრები გარბიან,
გაჰკივის სიჩუმე მარტო.

რატომღაც ვერ ვხვდები როგორ ვარ,
რა მინდა, ან საით წავალ,
ნაჩუქარ გვირილებს მდუმარედ
შევყურებ... მეტყვიან ალბათ.

დამლოცეთ, მამაო

დამლოცეთ მამაო,
ვერ ვაღწევ, მოვილტვი,
სავალი თქვენამდის
ძალიან ძნელია,
ეკლების ჩხლართები
გაბმულან ჩემ გზაზე
და მე ძლიერად
სულამდის მწვდებიან

დამლოცეთ, მამაო,
ხიბლში ვარ ყელამდის,
საწუთროს ვარამი ჰქონია,
უფლისკენ მავალი.
ვერასგზით დაბრკოლდნენ,
ხომ ვიცი, და მაინც
მოსვლა რა ძნელია.

დამლოცეთ, მამაო,
ევას ვარ ნაშობი,
ვნებები მომყვება
ცოდვამ რომ დადაღა.
ქრისტემ კი გამომხსნა
ნათლობის ბეჭედით.
და მაინც გავყურებ
დღემდე კვლავ სატანას
დამლოცეთ, მამაო,
ჩამოვრჩი ჩემს ფარას,
სისხლიან საწუთრომ
მომტაცა აზრები,
ბნელში რომ ბნელოდა
იმ გზების გაკვალვა
რომელიც თავადვე
მე თვითონ შევქმენი.

დამლოცეთ, მამაო,
ქრისტეს ვარ მხედარი,
საწუთროს ვარამმა
გონება არია,
რას მარგებს ყოველი
თუნდ ქვეყნის სიმდიდრე
მე ჯვარი მაცხოვნებს
და არა დიდება!!

დროებით...

შენს ბილიკზე
გავანათე დროებით
მერე ისევ გავუყვები ქუჩას.
როცა წავალ, დასრულდება ეჭვები
და ტკივილი თან რომ მახლდა მუდამ.
გაგინათე შარა
ღამაზ ფარნებით,
მოირკალა ცისარტყელას გამა,
და პეპლები, გაზაფხულის ფერებით
გახსოვს? როგორ დაფრინავდნენ ჩვენთან.
შენს ბილიკზე ვარკვლავები ვაბნიე,
მთვარის შუქი მაყოლებდა მზერას
და მღეროდა სერენადას ჩუჩულით
სიო, ნაზი მონაბერი მკერდთან.
შენს ქუჩაზე ჩირაღდნები დავანთე,
გაგინათე მისასვლელი კარი,
გულის კარი ვერ გაგიღე ვერასდროს,
და ამისთვის იცოდე, ნუ განმსჯი.
აირია უცებ ირგვლივ ამინდი,
სიხარული მიმოფანტა ქარმა,
დღეები და საათები ძვირფასო,
უკვე წარსულს მოგონებად დარჩა.

შემოდგომის სევდა

შემოდგომის ფოთლებს
ეკიდება სევდა,
და გაცრეცილ ფიქრებს
ქარი არხევს ნელა.

იმედების მძივი,
ყელზე უცებ წყდება
და წკარუნით ირგვლივ
იფანტება, ქრება.

მივუყვები დაღმართს
დანისლული გზირი,
თითქოს ვიყო ახლა
მტკვართან მდგარი ცივი.

ცივი სუსხი ირგვლივ
რუხ არშიებს ავლებს,
და ყოველი მოჰგავს
ძველი სახლის მოლბერტს.

გოლო ცეკვა

ვიცეკვოთ ერთად
საბოლოოდ,
ტანგო, ან ვალსი,
გრძნობის მორევში
გადავაგდოთ
ეს გედის ცეკვა.
ვით ქარტეხილი
უცაბედად ამოვარდნილი,
დროის საწუთროს მგზნებარებით
მოვტაცოთ ერთად.

ვიცეკვოთ ერთად
კიდევ ერთხელ
ტანგო, ან ვალსი,
ისე ძლიერად, ვით ქარიშხალს
ღამე უმთვარო,
რომ შენი სახლის
ფერთა გამის იდუმალებამ,
ამ ცეკვის ცეცხლად
გაჩენილი ფერფლი დატოვოს.
ვიცეკვოთ ერთხელ საბოლოოდ
ტანგო ან ვალსი,
სასტიკ სამყაროს გადავუფინოთ
შავი ვუალი,
ვიცეკვოთ, რომ აალდეს
უტყვი გრძნობები,
და ჩვენ ფერთა ქვეშ
საბოლოოდ დარჩეს
ვით კვალი.

იასამანი

იასამანის ნაზი
სურნელი
და გაზაფხულის
წვიმა საამო,
ვიცი, ოდესღაც
მე გადავფურცლავ
ჩემს მოგონებებს
მეტად საამოს.

სურნელს გაჰყვება
სევდა უძირო,
ვით ამორძალი
უკანასკნელი,
და გამახსენებს
მე შენს თავს მუდამ
აპრილის წვიმა –
იასამანი.

ღამე

როდის გათენდება ნეტავ,
ფიქრმა დამათოვა ისევ,
ღამე იდუმალი, ბნელი
კრძალვით ჩემს ფანჯრიდან
მიცქერს.
ჩემებრ ხომ არ წუხს
ისიც,
ასე რას განიცდის
ნეტავ,
იქნებ საერთო გვაქვს
ფიქრი,
ისიც დარდიანობს
ვხედავ.
ღამე, იდუმალი ჩემო
ასე რას განიცდი მიკვირს,
მაინც ვერა ვხვდები რა ვქნა
ასე რატომ გგავარ, რისთვის?!
ღამე, უცნაური რომ ხარ,
უკვე დამათენდა ფიქრში,
ჩემებრ იდუმალი რომ ხარ,
ალბათ მიტომ გგავარ, მივხვდი.
ახლა ეს რიჟრაჟი ჩუმად,
კრძალვით იპარება ჩვენსკენ,
მე კი განშორება არ მსურს,
ღამე გელოდები ისევ.

მანანა კორძახია

როგორ ავარჩიოთ პური, პურის შენახვის ვადა და პიროგები

პურის შენახვა ორნაირად შეიძლება: ოთახის ტემპერატურაზე ან გაყინვით. ოთახის ტემპერატურაზე (15-25ºC, ტენიანობა არა უმეტეს 75%) როგორც წესი, შეუფუთავი პურის შენახვის ვადაა 36 საათი, ხოლო პოლიმერულ აპკში შეფუთული პურის – 72 საათი (ლაპარაკია მასიური წარმოების პურზე).

პურის გაყინვის შემთხვევაში იგი აუცილებლად პოლიმერულ აპკში შეფუთული უნდა იყოს. გაყინული პურის შენახვა რამდენიმე თვე შეიძლება. გალღობის შემდეგ იგი თავის თვისებებს აღიდგენს. თუმცა, რა თმა უნდა, გემოთი და სუნით იგი ახალ გამომცხვარ პურს ვერ შეედრება.

ოთახის ტემპერატურაზე შენახვისას პური თანდათან ხმება, შრება და ძველდება: რბილობი მაგრდება, კანი რბილდება და ხანდახან ნაოჭდება კიდეც (განსაკუთრებით, თუკი მისი საწყისი ტენიანობა სტანდარტულზე უფრო მაღალი იყო). პური ხდება ფშვნადი, მცირდება ახალი პურისათვის დამახასიათებელი გემო და არომატი. ამიტომ, ყველას ახალი პური გვიყვარს.

ზოგჯერ დიეტოლოგები „გუშინდელი პურის“ ჭამას გვირჩევენ. ეს იმიტომ, რომ ახალი პური გემრიელი კი არის, მაგრამ ვინაიდან ძალზე რბილია, ღეჭვისას იცომება, კოშტდება და კუჭ-ნაწლავში ძნელად გადამუშავდება (რაც არასასურველია კოლიტის დროს).

ამავე დროს ახალი პური კუჭის წვენის ინტენსიურ გამოყოფას იწვევს (რაც გასტრიტის დროს არასასურველია). ასე რომ, თუ თქვენ გსურთ დაინდოთ თქვენი კუჭ-ნაწლავი, „გუშინდელი პური“ საუკეთესო გამოსავალია.

როგორ ავირჩიოთ პური

პურის არჩევისას შემდეგი ფაქტორები უნდა გაითვალისწინოთ:

● კარგად გამომცხვარი პური ელასტიურია, თითის მსუბუქად დაჭერით იგი ჩაიზნიქება და შემდგომ მალევე უბრუნდება საწყის ფორმას;

● პურის კანი უნდა წარმოადგენდეს ხრაკუნა, პრიალა, ოდნავ ამობურცულ, თანაბარ ზედაპირს, ნახეთქების გარეშე;

● პურის გემო და სუნი უნდა იყოს დამახასიათებელი სახეობისათვის, არ უნდა აღინიშნებოდეს უცხო სუნი და გემო;

● პურის ფერი უნდა იყოს სახეობისათვის დამახასიათებელი, მაგალითად ჭვავისა და ჭვავ-ხორბლის პურის კანს აქვს ყავისფერი პრიალა ზედაპირი.

● პური ჯობს აირჩიოთ შეფუთული – ნაკლებია მისი დაბინძურების შანსი მაღაზიამდე ტრანსპორტირებისას, აგრეთვე თავად მაღაზიაშიც. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მისი ზედაპირი გარანტირებულად უფრო სუფთაა, ვიდრე შეუფუთავი პურის. თუმცა, თუ შეფუთულ პურს აწერია, რომ მისი შენახვის ვადა 7-14 დღეა, ასეთ პროდუქტს ნუ შეიძენთ – ასეთ პურში აუცილებლად დამატებული იქნება ქიმიური კონსერვანტები, რომელსაც რაც ნაკლებს მიირთმევთ, უკეთესია.

● მიაქციეთ ყურადღება, რომ პური არ იყოს დასვრილი, დამწვარი ან პირიქით, ზედმეტად თეთრი, გამოუმცხვარი, ან ჩავარდნილი. განსაკუთრებით არასასურველია დამწვარი ზედაპირი, რადგან იგი შესაძლებელია მავნე ნივთიერებებს შეიცავდეს.

სამწუხაროდ, ქართულ ბაზარზე ხშირია უხარისხო პურის ნაწარმი, რომელიც იმისათვის, რომ მაღალხარისხიანი პურივით გამოიყურებოდეს სხვადასხვა დანამატებით არის „გამდიდრებული“. ცხადია, ასეთი პურის კვებითი ღირებულება დაბალია, მას არც კარგი პურის გემო და ელასტიურობა გააჩნია. და რაც ყველაზე ცუდია – იგი შეიცავს პურისთვის უცხო ქიმიურ დანამატებს.

ეს დანამატები, როგორც წესი, მცირე ოდენობით მავნე არ არის, მაგრამ ვინაიდან პურს საკმაოდ ბევრს ვჭამთ, საბოლოო ჯამში ამ „ქიმიასაც“ დიდი რაოდენობით ვიღებთ, რაც ჩვენი ჯანმრთელობისთვის კარგი ნამდვილად არ არის. ამიტომ გირჩევთ არ შეიძინოთ პურის ასეთი გაყალბებული ნაწარმი.

არასასურველი დანამატების გამოსავლენად ეს მითითებები გამოგადგებათ:

● თუ პურის რბილობი ქათქათა თეთრია, პური კი სრულებით უგემურია – ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ პური თეთრი (უმაღლესი ხარისხის) ფქვილისგან კი არა, არამედ შედარებით მდარე ხარისხის ფქვილისგან არის გამომცხვარი, რომელიც ქიმიურად არის გათეთრებული. სამწუხაროდ, მათეთრებლად ზოგჯერ საკმაოდ მავნე, კანცეროგენურ ნივთიერებებს იყენებენ. ამიტომ შეეცადეთ ასეთი პური არ შეიძინოთ;

● თუ ახალგამომცხვარი პურის რბილობი იფშვნება, ეს როგორც წესი იმის მაჩვენებელია, რომ ფქვილი ძალზე დაბალი, არაპურსაცხობი ხარისხის იყო (სავარაუდოდ, საფურაჟე) და მისგან რომ პური გამოსულიყო, მეწარმემ ცომში სხვადასხვა სახის საკვები დანამატები შეიტანა. მოერიდეთ ამ მწარმოებლის პროდუქციას.

● თუკი პურის რბილობში თანაბარი, მცირე ფორების ნაცვლად დიდი სიცარიელეებია, ეს ნიშნავს, რომ პური ზედმეტად გაფუებულია, ანუ ცომში გადამეტებული რაოდენობით დაუმატეს საფუარი, ან ქიმიური გამაფუებლები. არც ერთი და არც მეორე ჯანმრთელობისთვის სასარგებლო არ არის. ამიტომ ასეთ პურსაც მოერიდეთ;

● რუხ და შავ პურში ხშირად ჭვავის ფქვილის ნაცვლად მუქი ფერის საღებავია დამატებული. ამ ფალსიფიკაციის გამოვლენა საკმაოდ იოლია: ჩაფშხვენით პური წყალში და შეანჯღრიეთ. თუ წყალს მოყავისფრო (ჩაის ფერის) ფერი მიეცა, ეს პური შეღებილია;

● თუკი პურში მაგარი კოშტები შეგხვდათ, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ეკონომიის მიზნით მეწარმემ სრულიად დაუშვებელი ტექნოლოგია გამოიყენა: ცომში ძველი პურის და დამბალი რბილობი შეაზილა და ისე გამოაცხო.

არის შემთხვევები, როცა ბაზარზე გასაყიდად გამოაქვთ კარტოფილის და თივის ჩხირით დასნებოვნებული ფქვილისგან გამომცხვარი პური. ასეთი პური შენახვისას მძაღე გემოს და სუნს იძენს, კონსისტენცია კი სველი და წებოვანი ხდება.

არ გამოიყენოთ ასეთი პური! დაიმახსოვრეთ საცხობის დასახელება და მოერიდეთ მათ ნაწარმს (დიდია ალბათობა რომ მთელი მათი ნაწარმი დაავადებული ფქვილისაგან იწარმოება)!

კარგს იზამთ, თუ მაღაზიასაც აცნობებთ იმის შესახებ, რომ პური კარტოფილის ჩხირით არის დაავადებული – მაღაზია ვალდებულია ასეთი პური გაყიდვიდან ამოიღოს და დახლი და თაროები, სადაც ასეთი პური იდო, საგულდაგულოდ გარეცხოს.

დაიმახსოვრეთ: საღი პური დაძველებისას წებოვანი არ ხდება! მას შეიძლება ობი მოეკიდოს, მაგრამ რბილობი წებოვანი არ უნდა გახდეს! პურის წებოვნების მიზეზი მხოლოდ მისი დასნევოვნება შეიძლება იყოს! მოერიდეთ საცხობს, რომლის პური დაძველებისას წებოვანი ხდება!

პურის შენახვა სახლში

თუ შეუფუთავი პური შეიძინეთ, გირჩევთ, სანამ მოიხმართ, ცეცხლის ალზე გადაატაროთ – სამწუხაროდ არ არის გამორიცხული, რომ პურისთვის მაღაზიაში ან გადაზიდვისას ჭუჭყიანი ხელი მოეკიდათ, ცეცხლით მოწვა კი პურის კანზე შერჩენილ ბაქტერიებს უცბად გაანადგურებს.

არ შეინახოთ პური პოლიეთილენის პარკში. პურიდან აორთქლებული წყლის ხარჯზე პარკში წარმოიქმნება მაღალი ტენიანობა, რაც დაობებას უწყობს ხელს;

პური შეინახეთ ხის, ემალის ან სპეციალურ „საპურე“ კონტეინერში. კვირაში ან 10 დღეში ერთხელ მაინც პურის შესანახი გარეცხეთ თბილი ძმრიანი წყლით და გააშრეთ;

იმისათვის, რომ პურის შესანახ ჭურჭელში ობი არ წარმოიქმნას:

● ჩადეთ რამდენიმე ფენა დოლბანდში გახვეული მდოგვის ფხვნილი;

● ჩადეთ მარილი, რომელსაც დატენიანებისთანავე გამოცვლით;

● ჩადეთ რამდენიმე ტაბლეტი ნახშირი, რომელიც ასევე შთანთქავს ტენსა და უცხო სუნს.

არ შეინახოთ ერთად ხორბლის და ჭვავის პური. ჭვავის პურის ტენიანობა უფრო მაღალია და შესაბამისად იგი უფრო სწრაფად ობდება;

გაითვალისწინეთ, მაცივარში პური უფრო სწრაფად ძველდება, ვიდრე გარეთ. თუ პურს მაცივარში ინახავთ, ჯობს შეინახოთ საყინულეში. გალღობის შემდეგ პური აღიდგენს ახლის თვისებებს.

momxmarebeli.ge

როგორ უნდა შევინახოთ შემოდგომაზე აღებული ხილი და ბოსტნეული

იმისათვის, რომ შემოდგომაზე აღებული ხილი და ბოსტნეული ხანგრძლივი დროის მანძილზე შეინახოს და სასარგებლო თვისებებიც შეინარჩუნოს, არსებობს უამრავი ხალხური წესი. ყოველი ასეთი წესი გარკვეული კლიმატური პირობებისთვის არის განკუთვნილი და გარკვეულ გეოგრაფიულ არეალშია ჩამოყალიბებული.

მაგალითად, ის, რაც მისაღებია აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი კლიმატისათვის, მიუღებელია დასავლეთ საქართველოს ნესტიანი კლიმატური პირობებისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოში საზამთროდ ხილისა და ბოსტნეულის შენახვა სარდაფშიც შეიძლება, დასავლეთ საქართველოში კი მაღალი ტენიანობის გამო, ბევრ რეგიონში ამ მიზნით სარდაფი არ გამოდგება.

უპირველესად, უნდა შევარჩიოთ შენობა ან ადგილი სადაც სიმშრალეა. აუცილებელია ეს ადგილი კარგად ნიავდებოდეს და დაცული იყოს მზის პირდაპირი სხივებისგან.

შესანახად განკუთვნილი ხილი ან ბოსტნეული ჯანსაღი უნდა იყოს. წინასაღმდეგ შემთხვევაში, სიდამპლე ან დაავადება შენახული მოსავლის ჯანსაღ ნაწილზეც გავრცელდება.

სასურველია, შესანახი ადგილი მკვეთრი ტემპერატურული ცვლილებებისაგან დაცული იყოს. არ არის კარგი ზედმეტი სიცივე ან სითბო.

არ არის სასურველი შესანახი ხილისა და ბოსტნეულის ცელოფნის პარკებში მოთავსება. ამისთვის ორგანული მასალისაგან დამზადებული საშუალებების გამოყენება სჯობია, რომელშიც ჰაერი თავისუფლად მოძრაობს.

ხილისა (ვაშლი, მსხალი, კომში) და ციტრუსოვანთა ნაყოფის: მანდარინის, ლიმონის და ფორთოხლის შენახვა ხანგრძლივი დროის მანძილზე, ისე რომ არ დაკარგოს საგემოვნო თვისებები და გარეგნული იერი შესაძლებელია ნახერხის მეშვეობით.

ამისთვის საჭიროა, ხის ყუთის ფსკერზე ხუთი სანტიმეტრის სისქეზე დავყაროთ ნახერხი. შემდეგ დავაწყოთ შესანახი ხილი, შემდეგ ისევ ნახერხი და ასე შემდეგ. ამ წესით შენახული ციტრუსი აგვისტოს თვემდე ინახება და ცალკეული ნაყოფის ლპობის შემთხვევაში სხვა ნაყოფები დაცულია.

ნახერხში შენახვის დროს საჭირო ტენიანობა და ტემპერატურული რეჟიმი კარგადაა დაცული. თუმცა, აუცილებელია, რომ შესანახად გამოყენებული ნახერხი სუფთა და მშრალი იყოს.

სტაფილოს, ჭარხლისა და ბოლოკის შენახვა კი სილაში შეიძლება (სილა უნდა იყოს მშრალი), სადაც კარგად ინახება არ ჭკნება და არც ლპება.

მეტი ყურადღება შვრიის კულტურას

გავრცელება

შვრია ეკუთვნის ძველი კულტურების რიცხვს, მაგრამ მისი მოყვანა ხორბალთან, ქერთან და ფეტვთან შედარებით გვიან დაიწყო.

შვრია ევროპული ქვეყნებისათვის უფრო ადრე გახდა ცნობილი, რადგან ჩრდილოეთის ქვეყნები უფრო ტენით მდიდარია. ამიტომ შვრია ფართოდაა გავრცელებული გერმანიაში, ნორვეგიაში და შოტლანდიაში.

პურეულის მსოფლიო წარმოებაში შვრიის სათესი ფართობი მეექვსე-მეხუთე ადგილზეა. საქართველოში შვრიის ფართობი უმნიშვნელოა და იგი ძირითადად საქონლის საკვებად მოჰყავთ.

შვრიის გამოყენება

უკანასკნელ ათ წელიწადში შვრიის კულტურისადმი ინტერესი გაიზარდა მისი, როგორც სასურსათე და სამკურნალო თვისებების მქონე მცენარისა, რომლის საკვებ ღირებულებასაც განსაზღვრავს მის მარცვალში შემავალი ცილები (9,0-19,5%), სახამებელი (40-56%) და ცხიმები (4-6%).

მარცვალი გამოიყენება ბურღულეულის, ხოლო ხორბალთან ნარევში საკონდიტრო ნაწარმის დასამზადებლად. შვრიის ქიმიური შენაერთები უმაღლესი ხარისხისაა და იგი ძვირფასი სასურსათე პროდუქტია, რომელიც ადვილად მონელებადია.

შვრიიდან დამზადებული პროდუქტები მნიშვნელოვანია დიეტურ და ბავშვთა კვებაში. მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება შვრიის ფქვილზე, ბურღულზე და ყავაზე, ყველა ეს პროდუქტი ხასიათდება ანტიალერგიულობით.

გასაოცარია შვრიის სამკურნალო თვისებები, რომელზედაც ჰიპოკრატეც მიუთითებდა. შვრიას აქვს აღდგენითი ეფექტი, გამოიყენება ტუბერკულიოზის სამკურნალოდ, ფილტვის დაავადებების დროს, ოპერაციის შემდეგ ორგანიზმის გასაძლიერებლად. გამოიყენება ღვიძლის სამკურნალოდ, ალერგიული დაავადებების დროს, აღადგენს გულის რითმს, აწესრიგებს ნერვულ სისტემას.

შვრიის წყალხსნარი გამოიყენება შარდმდენად და თირკმელების დაავადებების დროს. მწვანე შვრია გამოიყენება ორგანიზმის გასაწმენდად, დაღლილობის, უძილობის, არასაკმარისი მადის დროს. შვრიას აქვს სკლეროზის საწინააღმდეგო ეფექტი.

შვრია კარგი საკვებია შინაური ცხოველებისა და ფრინველებისათვის. შვრიის ჩალა და ბზე კვებითი ღირებულებით უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვა კულტურების იგივე ანარჩენები. პარკოსან ბალახებთან ნარევი შვრია კარგია მწვანე საკვებად და თივად.

შვრიას ხშირად თესავენ ცერცველასთან ნარევში. ცერცველა-შვრიის ნარევი ერთერთი საუკეთესოა დაკავებულ ანეულზე დასათესად, იგი იძლევა დიდი რაოდენობის მაღალხარისხოვან მწვანე საკვებს ან თივას და ადრე ათავისუფლებს მინდორს ნიადაგის მოსამზადებლად საშემოდგომო კულტურებისათვის.

შვრიის სახეობები

შვრიას გააჩნია სახეობათა დიდი მრავალფეროვნება, რომელთა შორის არის მრავალწლოვანი და ერთწლოვანი, კულტურული და ველური ფორმების 70-მდე სახეობა. პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს 11 სახეობას, რომელთაგან საქართველოში ძირითადად გავრცელებული გვხვდება ორი სახეობის: კულტურული შვრია ხასიათდება გვალვაგამძლეობით და მლაშე ნიადაგებისადმი შეგუებულობით და ველური შვრია – შვრიუკა ასარევლიანებს პურეულის ნათესებს და მინდვრის კულტურებს.

შვრიის ბიოლოგიური თავისებურებები

შვრია თვითგამანაყოფიერებელი მცენარეა, მაგრამ მის ნიშანთვისებებს ახასიათებს ფართო ცვალებადობა. შვრიის თესლი, კილებით არის დაფარული, ამის გამო მის გაღივებას შედარებით მეტი დრო და წყალი ჭირდება.

შვრია სითბოსადმი არ არის მომთხოვნი, იგი ზომიერი ჰავის მცენარეა. აღმოცენებიდან ყვავილედის გამოტანამდე შედარებით გრილი ამინდით კმაყოფილდება. თესლი გაღივებას იწყებს 3-4^{0}C ტემპერატურაზე.

გაზაფხულის სუსხს – 3-4^{0}C-ს კარგად იტანს. ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურაა აღმოცენების შემდგომ პირველ ოთხ კვირაში 10-12^{0}C. ისეთ პირობებში თუ ტენი საკმარისია, კარგად ვითარდება და ნაკლებად ზიანდება მავნებლებით. მაღალი ტემპერატურის მიმართ უფრო მეტად მგრძნობიარეა, ვიდრე ხორბალი და ქერი.

შვრია ნიადაგისადმი უფრო ნაკლებ მომთხოვნია, ვიდრე სხვა საგაზაფხულო პურეული, რაც გამოწვეულია კარგი ფესვთა სისტემით და მისი მაღალი შეთვისებადობით. იზრდება ქვიშნარ, თიხნარ და ტორფიან ნიადაგებზე. ამავე დროს შვრია დადებითად ეხმაურება ნიადაგის ნაყოფიერებას.

კარგი მოსავალი მიიღება შავმიწებზე საკმარისი ტენიანობის დროს. სხვა კულტურებზე უკეთესად ცხოველმყოფელობს მჟავე ნიადაგებზე. მშრალ ქვიშიან ნიადაგებზე წყლის ნაკლებობა იწვევს წვრილთესლიანობას, ცუდ ამოვსებულობას, გადიდებულ კილიანობასა და ფხიანობას. შვრიის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მაღალი მოსავლის მისაღებად, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია სპეციფიკურია.

შვრია რეალურად ყოველთვის ავადდება სოკოვანი დაავადებით (ჟანგა, გუდაფშუტა), ადვილად ზიანდება ამიტომ თესლის შეწამვლა აუცილებელია.

თესვის სქემა

მწვანე საკვებად თესვის დროს საჭიროა 240-250კგ/ჰა-ზე მარცვალი დაითესოს ვიწრო მწკრივებად. სამარცლე შვრიის თესვის ნორმაა 180-220კგ/ჰა-ზე. მარცვალი უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულ მოთხოვნებს თესლის სისუფთავესა და გაღივების უნარზე.

შვრია სწრაფმზარდი მცენარეა, უხვი ამონაყრით. ერთ ჰექტარზე ორ ტონამდე მწვანე მასას იძლევა, მწვანე საკვებად და სენაჟად, იყენებენ თივადაც, თუმცა ხარისხით ბალახის თივას ჩამოუვარდება. მარცვლის მოსავალი მერყეობს 1.2-დან 2.0 ტ/ჰა-მდე.

თესლბრუნვაში შვრიის მოთავსება შესაძლებელია ყველა კულტურის შემდეგ. უკეთესია სათოხნი კულტურებისაგან განთავისუფლებული მინდორი. დაუშვებელია ზედიზედ თესვა. შვრია კარგი წინამორბედია სათოხნი კულტურებისათვის, ტოვებს სუფთა ნიადაგს.

შვრიისათვის სასურველია ნიადაგის მზრალად მოხვნა, გაზაფხულზე ხნულის გაფხვიერება და დაფარცხვა. თესვისწინა დამუშავება, სათესლე მასალის მომზადება, თესვა, ნათესის მოვლა და სხვა აგროღონისძიებები იმავე ვადებში და წესით სრულდება, როგორც საგაზაფხულო ხორბალში და ქერში. შვრიის სავეგეტაციო პერიოდი გრძლდება 80-120 დღე.

პერსპექტიული ჯიში

ფერმერულ მეურნეობებში და კერძო ნაკვეთებზე შვრიის მოყვანას ხელს უშლის გავრცელებული ჯიშების დაბალმოსავლიანობა, ჩაწოლისადმი მიდრეკილება, მარცვლის ცვენადობა და ხშირ შემთხვევაში გაზაფხულზე თესლის დეფიციტი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში 2014 წლიდან დაწყებულია შვრიის სასელექციო მასალის შესწავლა.

შესწავლის შედეგად გამორჩეული და გამრავლებულია პერსპექტიული ჯიში „არგო“, რომელიც ხასიათდება მაღალმოსავლიანობით, მაღალხასხიანობით, ჩაწოლისადმი გამძლეობით, დაავადებების და მავნებლებისადმი იმუნიტეტით, მდგრადია მარცვლის ჩაცვენისადმი და შეუძლია მყარი მოსავლის მოცემა.

შვრიის კულტურის პოპულარიზაცია

შვრიის კულტურის პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარცვლის გადამამუშავებელი საწარმოების ჩართვას. კულტურის კომერციალიზაცია ხელს შეუწყობს ფერმერთა დაინტერესებას და მკვეთრად გაზრდის შვრიის ფართობს. შვრიის საგაზაფხულო ბუნება და დაბალი ტემპერატურისადმი გამძლეობა საშუალებას მოგვცემს ვთესოთ, როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე.

ბოლო წლებში ხშირია შემთხვევები, როდესაც შემოდგომის (სხვა მცენარეთა) ნათესი, კლიმატური პირობების გამო სამეურნეო მნიშვნელობას კარგავს, ასეთ შემთხვევაში შვრიის გამოყენება ყველაზე კარგი საშუალებაა. შესაძლებელია გამეჩხერებული ნათესის გადათესვაც და იგივე ფართობზე შვრიის საზაფხულო სუფთად თესვაც. სხვა თავთავიან მარცვლოვანთა თესლბრუნვაში შვრიის თესვა უარყოფით შედეგს არ იძლევა.

დასკვნა ერთია, შვრია მრავალმხრივი მოხმარების საუკეთესო საკვები, სასურსათე, სამკურნალო კულტურაა, რომელსაც შეუძლია ფერმერებს დაეხმაროს სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებაში, მოსავლის დაზღვევაში და მოგების გარანტირებულ მიღებაში.

ცოტნე სამადაშვილი,
ნანა ჩხუტიაშვილი,
ნუგზარ გენდიანიშვილი
სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ზეთისხილი – სამკურნალო მცენარე, რამდენიმე რეცეპტი

ზეთისხილი (ლეა) მარადმწვანე 3-7 (12) მ სიმაღლის ხე ან მაღალი ბუჩქია განიერი გადაშლილი ვარჯითა და დაბრეცილი ღერო-ტოტებით.

ყლორტებზე ერთიმეორის მოპირისპირედ განლაგებული მოკლეყუნწიანი ტყავისებრი, ლანცეტა ან ოდნავ წაგრძელებული ფოთლები ზემოდან მწვანეა მეჩხერი ქერცლებით, ქვემოდან კი ვერცხლისფერ-მონაცრისფერო, კიდეები ქვემოთაა დახრილი.

ყვავილები 15-30 შეკრებილია ფოთლების იღლიებში განლაგებულ მტევნებად. ზარისებრი, აპკივით თხელი ოთხკბილიანი ჟამი ნაყოფებზეა შერჩენილი. ყვავილის გვირგვინი მოთეთრო ფერისაა ორი მტვრის პარკითა და ოთხი ფრთით.

სქელგარსიანი, ცვილისებრნაფიფქიანი, მოშაო ნაყოფის კურკა ოვალური ან მომრგვალოა. ნაყოფი მდიდარია მაღალხარისხოვანი საჭმელი ზეთით. იგი ფრიად სიმშრალის ამტანი მცენარე, სითბოს და სინათლის მომთხოვნია.

საქართველოში გაველურებული სახით გაგრის ტყეებში გვხვდება. ბაღებში გავრცელებულია ზღვის დონიდან 450 მ სიმაღლემდე. მისი ნაირგვარი ჯიშები არსებობს, ამიტომ მათი ნაყოფებისგან დამზადებული, ე.წ. ზეითუნის ზეთი სხვადასხვა სახისაა. ზოგი ჯიში გამოიყენება საჭმელი ნაყოფის დასამზადებლად, ზოგიც ზეთის გამოსახდელად.

მრავლდება ძირითადად თესლით, რომელსაც დათესვამდე რამდენიმე ხნით ნაცარტუტაში (ნაცარწმენდილში) ათავსებენ გაღივების სტიმულირების მიზნით. კარგად ფესვიანდება გამერქნებული კალმები, ადვილად ხარობს დაყოფითაც.

ზეთისხილის კულტურა საქართველოში გაშენებულია აფხაზეთში, სამეგრელოში, აჭარასა და კახეთში. ცოცხლობს საკმაოდ დიდხანს (200-300 წელი) მაგრამ ნელმზარდია. საჭმელად მოუმწიფებელ ნაყოფებს აგროვებენ და აწნილებენ.

ზეთის გამოხდას ზეთისხილის მომწიფებული ნაყოფებიდან აწარმოებენ. ზეთი სხვადასხვა ხარისხისა და თვისებების გამო სხვადასხვა დასახელებებითაა ცნობილი: ზეითუნის ზეთი, ხის ზეთი, პროვანსული ზეთი.

ოდითგანვე ცნობილია ბრტყელი ჭიის (სოლიტერის) ორგანიზმიდან გამოდევნის შემდეგი მარტივი მეთოდი, რომელიც ახლებურ სამედიცინო შემოწმებას საჭიროებს მისი მისაღებლობის დადგენის თვალსაზრისით. ავადმყოფი სამი დღის განმავლობაში სანახევროდ შიმშილობს. მეოთხე დილით უზმოზე სვამს ყველაზე სუფთა 3 სუფრის კოვზ პროვანსულ ზეთს და 10 წუთის შემდეგ იკეთებს ანადუღარი თბილი რძის ოყნას. კუჭში გასვლისას ჯდება რაიმე ჭურჭელზე, რომელშიც თბილი წყალი ან რძე ასხია. სოლიტერი თავისით გამოდის.

მეცნიერულ მედიცინაში პროვანსული ზეთი გამოიყენება ემულსიის სახით შიგშემომგარსველ და რბილ გამხსნელ საშუალებად საჭმლის მომნელებელი ორგანოებისა და კენჭოვანი დაავადებების დროს. გარდა ამისა მას ზოგი სამკურნალო ნივთიერებების გამხსნელად იყენებს ამ ნივთიერებათა ორგანიზმში არაკუჭნაწლავის (პარენტერალური) გზით შეყვანისათვის.

ზეითუნის ზეთს იყენებენ აგრეთვე სხვადასხვა მალამოს საფუძვლად. ფოთლის ექსტრაქტის ცხოველის ვენაში შეყვანა იწვევს არტერიული წნევის დაწევას, ზრდის დიურეზს, ანელებს ნაწლავების პერისტალტიკას, აიშვიათებს და აღრმავებს სუნთქვას. უფრო ეფექტურია ახალი ფოთლების ექსტრაქტი, ვიდრე ხმელისა. იგი საზღვარგარეთ ჰიპერტონიული დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება.

ხალხური მედიცინის მონაცემებით რევმატიზმის მკურნალობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს შემდეგი საშუალება: იღებენ კარგსაცობიან სქელკედლიან ბოთლს. მასში ასხამენ 154 გრ. ხის ზეთს (შესაძლოა პროვანსული ზეთით შეცვლა). შემდეგ ყრიან ათიდან ოცამდე ნითელი წიწაკის პარკს, იმისდა მიხედვით თუ რა სიმაგრის ნაყენის მიღება სურთ. ყოველივე ამას ამატებენ 154 გრამ კარგად გაწმენდილ სუფთა ნავთს, ანჯღრევენ და ცხრა დღეს დგამენ თბილ ადგილას, ყოველდღე ანჯღრევენ, ამ ნარევით იზელენ მტკივნეულ ადგილს ღამღამობით. დღისით იცვამენ თბილ შალის გრძელ საცვალს და შალის წინდებს (ვ.მ. კურენოვი).

იმავე ავტორის მიხედვით ჭრილობების სწრაფი შეხორცებისათვის ხალხი წარმატებით იყენებს შემდეგი შემადგენლობის მალამოს: 100 გრამი პროვანსული ზეთი, 8 გრამი ყვითელი სანთელი, 5 გრამი თეთრი სანთელი, 20 გრამი ფიჭვის გამაგრებული ფისი (კოლოფანი), 1 გრამი საკმეველი, 1 სუფრის კოვზი უმარილო კარაქი. კოლოფანი და საკმეველი თუ ნატეხებადაა მას ფხვნილად აქცევენ. ნარევს პატარა მომინანქრებულ ქვაბში ათავსებენ და 10 წუთს ადუღებენ ნელ ცეცხლზე. გამუდმებით ურევენ და ქაფს ხდიან (აცილებენ), გაგრილების შემდეგ მინის ქილაში გადააქვთ. მალამოს დოლბანდის ან სხვა რომელიმე თხელი ქსოვილის სუფთა ნაჭერზე უსვამენ და ჭრილობას ადებენ. ხალხს ეს მალამო ძალიან ეფექტურ მომქმედად მიაჩნია.

ჭრილობის შესახორცებლად გაცილებით უფრო მარტივი შემადგენლობის მალამოსაც იყენებენ. ორ ნაწილ ხის ზეთზე (შესაძლოა პროვანსული ზეთის გამოყენებაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ხის ზეთი უფრო მიღებულია) ერთ ნაწილ ფუტკრის ცვილს (სანთელს) იღებენ. ამ ნარევის კარგად ადუღებით მიიღება მალამო, რომელსაც ჭრილობაზე სცხებენ და თუ საჭიროა, სახვევს ადებენ.

ღვიძლის გადიდებისა და ტკივილების დროს იღებენ, ერთ ჭიქა პროვანსულ კარგ ზეთსა და 1 1/4 ჭიქა გრეიპფრუტის წვენს. ნარევს ღამღამობით იღებენ, ჭამიდან ორი საათის შემდეგ, მაგრამ დალევამდე წინასწარ ოყნას იკეთებენ. ნარევის მიღების შემდეგ მარჯვენა მხარეზე წვებიან. დილით ოყნას იმეორებენ. პროცედურას იმეორებენ 4-5 დღის შემდეგ საჭიროების კვალობაზე. ნაღვლის ბუშტში კენჭების საწინააღმდეგოდ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე იღებენ ზეთს. პირველად იღებენ 1/2 ჩაის კოვზს და თანდათანობით ზრდიან დოზას 1 ჩაის ჭიქამდე. მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა 2-3 კვირის განმავლობაში გრძელდება.

ყურში მოხვედრილი მწერის ან უწვრილესი კენჭის უმტკივნეულო ამოღებისათვის ყურში თანდათანობით აწვეთებენ პროვანსულ ზეთს. ყურში შეჭრილი მწერი ზეთში ამოტივტივდება.

agrokavkaz.ge

რატომ დაჰკრავს რძეს მწარე გემო ან რატომ იცვლის ფერს

პირველ რიგში, რა არის რძე? ესაა რთული ქიმიური შემადგენლობის ბიოლოგიური სითხე, რომელსაც გამოიმუშავებს ძუძუმწოვარი ცხოველების მდედრის სარძევე ჯირკვალი. ის გამოიყოფა სარძევე ჯირკვლიდან ლაქტაციის პერიოდში – ხბოს მოგებიდან გაშვებამდე.

ესაა ახალშობილთა კვების სრულფასოვანი და შეუცვლელი პროდუქტი. რძის შემადგენლობაში შედის: წყალი, ცხიმი, რძის შაქარი, მინერალური ნივთიერებები, ვიტამინები, ფერმენტები და იმუნური სხეულები.

რძის მწარე გემო ძროხის გაშრობის წინ აიხსნება ფერმენტ ლიპაზის მოქმედებით, რომელიც ცურშივე იწყებს რძის ცხიმის დაშლას. როგორც წესი, ლაქტაციის მეცხრე თვის ბოლოს – მეათეს დასაწყისში მონაწველ რძეს აქვს მომწარო გემო.

მეორე მიზეზია ფერმენტ რედუქტაზის მომატებული შემცველობა. ამ ფერმენტის ყველაზე მეტი რაოდენობა არის რძის პირველ ჭავლში, ამიტომ წველის დაწყების წინ რეკომენდებულია ცხოველის საგულდაგულოდ ჩამობანა და რძის პირველი ჭავლების ჩამოწველა ცალკე ჭურჭელში.

მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩამოწველა იატაკზე. უმჯობესია ავიღოთ ტოლჩა მასში ჩაფენილი შავი ქსოვილით. რძის ჩამოწველისას შავ ქსოვილზე შეიძლება განვსაზღვროთ, დაავადებულია თუ არა ძროხა მასტიტის ფარული ფორმით (თუ დაავადებულია, ქსოვილზე იქნება ნაფიფქი). ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ ვეტერინარს.

უდიდეს გავლენას რძის საგემოვნო მაჩვენებლებზე ახდენს უხარისხო საკვების მიცემა. ასევე, თუ რძე ინახება. სპეციფიკურ ფერს, სუნსა და გემოს რძეს ანიჭებს მცენარეები: ანისული, ძირა, კამა, ცერეცო, გვირილა. გემოზე, ფერსა და სუნზე გავლენას ახდენს აგრეთვე რძის ჰაერისმიერი კონტაქტი ქლორთან, კუპრთან, ამიაკთან, კრეოლინთან, ბელეკონთან, სამკურნალო პრეპარატებთან. კატეგორიულად დაუშვებელია ცურზე სოლიდოლის წასმა ნახეთქებისა და პაპილომების სამკურნალოდ.

რძეს ქაშაყის გემოსა და სუნს აძლევს შაქრის ჭარხლის ფოთლის სილოსი და ბადაგი. ამიტომ ისინი უნდა მივცეთ შეზღუდული რაოდენობით.

ხშირად, განსაკუთრებით ადრე გაზაფხულზე, რძეს აქვს საპნის გემო და აქაფებული შესახედაობა. ამას იწვევს მინდვრის შვიტა. ასეთივე გავლენას რძეზე ახდენს ცხოველის დაავადება – ტუბერკულოზი. შმორის სუნს რძე იძენს ძროხისათვის დაობებული საკვების მიცემა.

გაზაფხულზე რძეს შეიძლება ჰქონდეს თალგამისა და ბოლოკის სუნი და გემო. მიზეზია ცხოველების ძოვება მინდვრებში, სადაც იზრდება ბოლოკურა, თალგამურა, ველის მდოგვი. შემოდგომაზე დიდი რაოდენობით კომბოსტოს მიღება რძეს ანიჭებს კომბოსტოს სუნსა და გემოს, ის ხდება წყალწყალა. ცხოველების მიერ ველური ნივრის ან ხახვის შეჭმისას რძე იძენს ნივრისა და ხახვის სუნსა და გემოს. (ძველად ამ მეთოდს იყენებდნენ ცხოველზე „თვალის საცემად“).

რძის საგემოვნო თვისებებზე გავლენას ახდენს აგრეთვე ფიზიკური ფაქტორებიც (მზე, სათავსოს ცუდი ვენტილაცია, ჭურჭლის გაშრობა კვამლთან ახლოს, რძის შენახვა გაკვამლულ სათავსში).

საგემოვნო მაჩვენებლების ცვლილებასთან ერთად რძე ხშირად იძენს მისთვის არადამახასიათებელ ფერს. ასე მაგალითად, ზედმეტად ყვითელი მიუთითებს არა მხოლოდ ძროხის მიერ სტაფილოს, გულყვითელას, მზესუმზირას ყვავილების შეჭმაზე, არამედ ცხოველის დაავადებაზე თურქულით, ციმბირის წყლულით, ყვითელათი, ჩირქოვანი მასტიტით, ლეპტოსპიროზით, პიროპლაზმოზით.

რძის ფერს ცვლის აგრეთვე ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკებიც. ყვითელი ელფერი შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ ზემოჩამოთვლილი მიზეზებისაგან, არამედ ცხიმის მაღალი შემცველობის დროსაც.

რძე შეიძლება იყოს ასევე მოცისფრო-მოლურჯო და მოვარდისფრო-მოწითალო ელფერისა. მოცისფრო-მოლურჯოს აძლევს ბალახები: კამეჩა, კესანე, ცერცველა, წიწიბურა, თეთრი სამყურა, ჭაობის შვიტა, ენძელა, იონჯა (ლურჯი, ყვავილობის ფაზაში), აგრეთვე ხაშხაშის კოპტონი. ასეთივე ფერს რძე იძენს ცურის დაავადებისას მასტიტით ან სარძევე ჯირკვლის ტუბერკულოზით. (წყლით ფალსიფიცირებისას ანდა ცხიმის მოხდისას რძეს ასევე უჩნდება მოლურჯო ელფერი).

მოვარდისფრო-მოწითალო ფერს მოშლაზე.) მადუღარა (აქაფებული) რძეს იწვევს დიდი რაოდენობით შაქრის ჭარხლის ფოთლისა და უხარისხო სილოსის მიცემის გამო, რომელიც შეიცავს ერბომჟავასა და პროპიონმჟავას.

„ფხვნილისებრი“ რძე – საკვებში კალციუმის მეტობა ანდა სარძევე ჯირკვლის კედლებისა და სადინარების ანთებაზე. „წყალწყალა რძე“ წყალწყალა საკვების, დამპალი კარტოფილის, ყურძნის ჭაჭის, ბუყის მიცემის შედეგია და ა.შ. ზოგჯერ წყლიანობა მიუთითებს სარძევე ჯირკვლის ქრონიკულ ტუბერკულოზზე.

ამიტომ მეცხოველეებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციონ ყველა ჩამოთვლილ ნიშანს, ისინი ვაქცევ მეპატრონეთა ყურადღებას: კონსისტენციის შეცვლა ძალიან ხშირად მიუთითებს ცხოველის დაავადებაზე თურქულით, მასტიტით, ციმბირის წყლულით, პერიპნევმონიით, ინფექციური ყვითელით, აგრეთვე საჭმლის მონელების

საერთოა ცხოველებისთვისაც და ადამიანისთვისაც, მათ შორის ბაქტერიული წარმოშობის ნიშნები.

ძალიან ხშირად მწარე გემოს რძეს აძლევს მასში კაზეინის დაშლა პეპტონებამდე. პასტერიზებულში – სპოროვანი ჩხირების განვითარება ლპობის ბაქტერიების ჯგუფიდან; აქაფებულ რძეში – ამოკოკებისა და მიკროკოკების განვითარება სიცივეში რძის ხანგრძლივად შენახვისას. რძის მძაღე გემო აღინიშნება ცხიმის დაშლის შედეგად ერბომჟავის, ალდეჰიდების, კეტონების, ეთერებისა და სხვა ნივთიერებათა წარმოქმნით.

ყველა საეჭვო შემთხვევაში რეკომენდებულია მიმართვა სპეციალისტ ვეტერინართან, რომელიც დასვამს ზუსტ დიაგნოზს.

მიხეილ ჭიჭაყუა,
„ასოციაცია მომავლის ფერმერი“,
მთავარი ვეტკონსულტანტი,
ბიოლოგიის დოქტორი

ადამიანის საკვებად გამოსაყენებელი სარეველა მცენარეები

ბუნება უხვად გვაძლევს არსებობისთვის და გადარჩენისთვის აუცილებელ რესურსებს. მთავარია, როგორ გამოვიყენებთ ამ საჩუქარს.

ჯერ კიდევ უძველესი დროიდან პირველყოფილი ადამიანი საკვებად იყენებდა ველურ მცენარეებს (ფოთლებს, თესლებს, წვნიან ღეროებს, ტკბილ ფესვებს).მომთაბარე ცხოვრების დროს ისინი იკვებებოდნენ იმ მცენარეებით, რომლებიც მათ გზაზე ხვდებოდა. დროთა განმავლობაში დაიწყეს მოძიება და შეგროვება მცენარეებისა, რომელთა გემური თვისებები მათთვის მისაღები იყო.

სარეველა მცენარეები შეიცავენ ანტიოქსიდანტებს, ვიტამინებსა და მიკროელემენტებს (E, C, P, PP, Fe, Ca, K, Mg, B1, B2, B6 და სხვ.), ისინი საკვებად ვარგისია მათი შეგროვებიდან 2-3 საათის განმავლობაში, ან უკიდურეს შემთხვევაში იმავე დღეს. გამოიყენება ბოსტნეულთან, თევზეულთან, ხორციან კერძებში, ამზადებენ სუპებს, ფხალეულს და სხვ.

გაგაცნობთ ზოგიერთი სარეველა მცენარეს, რომელიც ადამიანის საკვებად დღესაც გამოიყენება და სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა.

ნაცარქათამა

ერთწლიანი, ბალახოვანი, საგაზაფხულო სარეველაა. ფესვი – მთავარღერძა; ღერო – სწორი, მომწვანო – მონაცრისფრო, სიმაღლე 20 – 100 სმ; ფოთლები – მორიგეობით განლაგებული, კვერცხისებურ – რომბისებური, დაკბილული; ყვავილედი – თავთავისმაგვარი, სიგრძე 10 – 40 სმ, ყვავილობს ივლის – აგვისტოში; თესლურა – მომრგვალო, წვრილი, შავი, დიამეტრით 1.5 მმ, ერთ მცენარეზე ვითარდება 100 000 თესლი,

აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 8 წელიწადს.გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

ჯიჯლაყა

ერთწლიანი საგაზაფხულო სარეველაა. ფესვი – მთავარღერძა; ღერო – სწორი, მარტივი ან დატოტვილი, ღია მწვანედან მოწითალომდე, სიმაღლე 20 – 150 სმ; ფოთლები – კვერცხისებურ – რომბისებური; ყვავილედი – ცილინდრული, მწვანე ფერის, ყვავილობს ივნის – სექტემბერში; თესლი – მომრგვალო, მუქი ყავისფერი, პრიალა, დიამეტრით 1 მმ, ერთი მცენარე იძლევა 5 000 თესლს.

გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის, სუპების დასამზადებლად, თევზეულთან და ხორციან კერძებთან.

ქუთქუთა

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა ჯვაროსანთა ოჯახიდან; ღერო – მარტივი ან დატოტვილი, 10 – 50 სმ სიმაღლის; ფოთლები – ისრისებური, მჯდომარე, ყვავილი – წვრილი თეთრი ფერის, ყვავილობს აპრილიდან ივნისამდე; ნაყოფი – ჭოტაკი, მრგვალი ან მომრგვალო ოვალური, სიგრძე 12 – 18 მმ, სიგანე 11 – 16 მმ. თესლი ყავისფერი, დაღარული, სიგრძით 1.75 – 2.5 მმ, სიგანე 1.25 – 1.75 მმ, ერთი მცენარე იძლევა 10 000-მდე თესლს.გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

ჟუნჟრუკი

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა მიხაკისებრთა ოჯახიდან; ფესვი ფუნჯა; ღერო – ცილინდრული, დატოტვილი 10 სმ-მდე; ფოთლები – კვერცხისებური, ბოლოში წაწვეტებული; ყვავილები – პატარა, თეთრი, ყვავილობს – მაის-აგვისტოში; ნაყოფი – მოგრძო კოლოფი; თესლი – მომრგვალო ან თირკმლისებური, მუქი ყავისფერი ან მონაცრისფრო – ყავისფერი, ზომით 0.75 – 1.25 მმ, ერთი მცენარე იძლევა 15 000 თესლს, აღმოცენების უნარს 2-5 წლის განმავლობაში. გამოიყენება კულინარიაში სალათების დასამზადებლად.

წინმატურა

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა ჯვაროსანთა ოჯახიდან; ფესვი – მთავარღერძა; ღერო – სწორი, მარტივი, დატოტვილი, სიმაღლით 20-60 სმ; ფოთოლი – მორიგეობით განლაგებული, მჯდომარე, მოგრძო – ლანცეტისებური; ყვავილი წვრილი, თეთრი ფერის, ყვავილობს აპრილიდან აგვისტომდე, ნაყოფს იძლევა მაისიდან სექტემბრამდე; ნაყოფი – ჭოტაკი, სიგრძე 5-8 მმ, უკუღმა სამკუთხა – გულისებური; თესლი – მოყავისფრო – მოყვითალო, ოვალური,

სიგრძე 1 – 2.5 მმ, სიგანე – 0.5 – 0.7 მმ, ერთი მცენარე იძლვა 70 00 თესლს.გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

ყანის ია

ერთწლიანი მცენარეა იისებრთა ოჯახიდან; ფესვი – წვრილი; ღერო – დატოტვილი, სწორმდგომი 5 – 30 სმ; ფოთლები – მორიგეობით განლაგებული, მარტივი, მოგრძო ლანცეტისებური; ყვავილი ერთეული, მოყვითალო – თეთრი, დიამეტრი 6 – 10 მმ; ნაყოფი – კოლოფი კვერცხისებური, სიგრძე 6 – 10 მმ; თესლები – უკუკვერცხისებური, ზემოთ ოდნავ შეჭყლეტილი, ფუძესთან შევიწროებული, გლუვზედაპირიანი, მოყვითალო – ყავისფერი, სიგრძე 1.25 – 1.75 მმ, სიგანე 0.75 – 1 მმ.გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

ჭინჭარი.

მრავალწლიანი, ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა, 60-200 მმ სიმაღლის; ღერო – სწორმდგომი, შებუსული; ფოთლები – გულისებრი, დაკბილული; ყვავილები – მოყვითალო – მწვანე, წვრილი, ყვავილობს ივნისიდან შემოდგომამდე; თესლი – კვერცხისებური, წვეროსკენ ოდნავ შევიწროებული, ფუძესთან – ფართო, ჭიპი მომრგვალო, მკაფიოდ შესამჩნევი, გლუვი, მონაცრისფრო – ყავისფერი, სიგრძე 1.25 – 1.75 მმ, სიგანე 0.75 – 1 მმ, მნიფდება ივლისში.გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის, სუპების დასამზადებლად.

ბოლოკურა

ერთწლიანი ბალახოვანი სარეველაა ჯვაროსანთა ოჯახიდან; ფესვი – მთავარღერძა; ღერო – სწორმდგომი, დატოტვილი, შებუსული, 10 – 70 სმ სიმაღლის; ფოთლები – ფრთისებრდანაკვთული; ყვავილი – ყვითელი, ყვავილობს ზაფხულიდან შემოდგომამდე; ნაყოფი – ჭოტაკი, ცილინდრული, 3 – 8 სმ სიგრძის, თესლი – მრგვალი ან ოვალური, მოწითალო – ყავისფერი, ბადისებური ზედაპირით, სიგრძე – 3 მმ, სიგანე – 2.25 მმ.გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

დანდური

ერთწლიანი, ბალახოვანი მცენარეა, სუკულენტი; ღერო – გართხმული, მოწითალო ფერის, 10 – 40 სმ; ფოთლები – მჯდომარე, მოპირდაპირედ განლაგებული, მოგრძო – უკუკვერცხისებური, ხორცოვანი; ყვავილი – პატარა, ყვითელი, ყვავილობს ივნისიდან აგვისტომდე; ნაყოფი – კვერცხისებური ან სფეროსებური კოლოფი, მნიფდება სექტემბერში, თესლი – მუქი ყავისფერი – მოშავო. გამოიყენება კულინარიაში ფხალეულში, სალათებსა და სუპებში.

მუაუნა

მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა წიწიბურასებრთა ოჯახიდან; ფესვი – მთავარღერძა, მოკლე, დატოტვილი; ღერო – სწორი, 1 მ-მდე; ფოთლები – წვნიანი, ლანცეტისებური; ყვავილი – წვრილი, ვარდისფერი ან წითელი, ყვავილობს მაის – ივნისში; ნაყოფი – მუქი ყავისფერი კოლოფი, თესლები სამწახნაგოვანი, მოშავო – ყავისფერი, 1.7 მმ.გამოიყენება კულინარიაში სუპის და ფხალეულის დასამზადებლად.

ჩვეულებრივი ღოლო

ბალახოვანი, ფესურიანი, მრავალწლიანი მცენარეა წიწიბურასებრთა ოჯახიდან; ფესვი – მთავარღერძა, გრძელი, ყავისფერი; ღერო – სწორმდგომი, 50 – 120 სმ სიმაღლის, შეუბუსავი, მოწითალო ფერის; ფოთლები – მოპირდაპირედ განლაგებული, ლანცეტისებური, 15 – 20 სმ სიგრძის, ქვედა ფოთლები – გულისებრი; ყვავილები – პატარა, მოწითალო ან მომწვანო, ყვავილობს ივნის – ივლისში; ნაყოფი – სამწახნაგიანი კაკლუჭა, მოწითალო – ყავისფერი, ბზინავი, სიგრძე – 2 – 3 მმ, სიგანე – 1.5 – 2 მმ.გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.

ოროვანდი

ორწლიანი ბალახოვანი სარეველაა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან; ფესვი – მთავარღერძა, ხორცოვანი, 60 სმ-მდე; ღერო – სწორმდგომი, 60 – 180 სმ სიმაღლის; ფოთლები – დიდი, გულისებური, მორიგეობითი, მარტივი, ყუნწიანი; ყვავილედი – კალათა, ყვავილები მილისებური, იასამნისფერი, ყვავილობს ივლის – აგვისტოში, ნაყოფი მწიფდება აგვისტო – სექტემბერში; თესლურა – მოგრძო, დაღარული, შიშველი, მოკლე ქოჩრით, ჭიპი მრგვალი, ყავისფერი, სიგრძე 4 – 6 მმ, სიგანე 2 – 2.5 მმ.კულინარიაში გამოიყენება ფესვები და ღერო, ხშირად კარტოფილთან ერთად ამზადებენ.

წითელი სამყურა

მრავალწლიანი ბალახოვანი სარეველაა პარკოსანთა ოჯახიდან; ფესვი – მთავარღერძა, დატოტვილი; ღერო – სწორი, 20 – 60 სმ სიმაღლის; ფოთოლი – რთული, ელიფსური; ყვავილი – წითელი, ვარდისფერი, 1.3 – 1.6 მმ სიგრძის, ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე; ნაყოფი – პარკი, კვერცხისებური, თესლი გულისებურ – ოვალური, ყავისფერი, ნაყოფმსხმოიარობა ივლისი – აგვისტო. ფოთლები გამოიყენება სალათებში, სენდვიჩებში, საკონდიტრო მრეწველობაში.

ღანძილი

მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვნი მცენარეა; ბოლქვი მოგრძო, სისქით 1 სმ; ღერო – სამწახნაგიანი, 15 – 50 სმ სიმაღლის; ფოთლები – ლანცეტისებური ან მოგრძო, სიგანე 3 – 5 მმ; ყვავილედი – ქოლგა, სფეროსებური, თეთრი, ყვავილობს მაის – ივნისში; ნაყოფი – კოლოფი, თესლი – შავი ფერის, სფერული.

გარდა იმისა, რომ ეს მცენარეები გემრიელი საკვებია, ასევე ძალიან სასარგებლოა და სამკურნალო დანიშნულებითაც გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

მოამზადა
ია გიგიაშვილმა

ცნობილი ადამიანები სტალინის შესახებ საუბრობენ

სტალინი დღემდე რჩება და ალბათ კიდევ ძალიან დიდხანს დარჩება ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფიგურად მსოფლიო ისტორიაში, მასზე კიდევ დიდხანს ისაუბრებენ ერთი ნაწილი, როგორც ტირანზე და სისხლიან დიქტატორზე, ხოლო მეორე ნაწილი, როგორც უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეზე და ეკონომიკურ-სოციალურ რეფორმატორზე, მის მიმართ რომ საზოგადოება გაორებულია სულ ახლახან ჩატარებულმა სახალხო გამოკითხვამაც დაადასტურა, სტალინი მოხვდა ერთდროულად როგორც საუკეთესო გმირის, ასევე ანტიგმირის სამეულში.

სტალინისადმი ინტერესი რომ არ ცხრება, ამაზე მეტყველებს უამრავი პუბლიკაციები, რომელიც მის შესახებ დღემდე იწერება, იმ დონემდე, რომ უკვე შეუძლებელია გაარკვიო რა არის სიმართლე და რა გამოგონილი ლეგენდა.

დღეს, 21 დეკემბერს სტალინის დაბადების დღეა და გადავწყვიტეთ სულ სხვა კუთხით, ანუ სხვისი თვალით დაგვენახვებინა თქვენთვის იოსებ ჯუღაშვილის პიროვნება.რას ფიქრობენ ცნობილი ადამიანები მის შესახებ?

„მე ჩავედი კრემლში და პირველად შევხვდი დიდ რევოლუციონერსა და ბელადს, ბრძენ მოღვაწესა და მეომარს მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობით გაამაყებული, რომლის დიდებამაც, არა მხოლოდ რუსეთს, არამედ მსოფლიოს გადაუარა„ (უისტონ ჩერჩილი)

„...მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. ის აყალიბებს საკითხს, რომლის განხილვაც სურს და ამ საკითხიდან არც აქეთ და არც იქით არ იხრება... მომავლისა და აწმყოს საკითხების განსახილველად, სურვილი მაქვს, შევხვდე თანამედროვეობის დიდ ადამიანს — სტალინს, რაც აქამდე ვერ შევძელი, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ მაინც შევხვდებით ერთმანეთს (ფრანკლინ რუზველტი).

სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა, და არა მხოლოდ რუსეთში. შეეძლო მტრების „მოთვინიერება“, მისთვის უცხო იყო პანიკა — დამარცხებისას, და ნეტარება — გამარჯვებისას. გამარჯვებები კი მას დამარცხებებზე გაცილებით მეტი ჰქონდა. სტალინური რუსეთი მონარქიასთან ერთად დაღუპული წინანდელი რუსეთი არ არის, მაგრამ სტალინური სახელმწიფო სტალინის ღირსეულ მემკვიდრეთა გარეშე განწირულია“ (შარლ დე გოლი)

„სტალინმა პირველივე მომენტიდან დატოვა ძლიერი შთაბეჭდილება.მოლაპარაკებებისა და საუბრების მსვლელობამ მკაფიო წარმოდგენა მომცა ამ კაცის სიძლიერეზე და ძალაზე, მისი ხელის ერთი აქნევა იყო ბრძანება ყველაზე შორეული სოფლისთვის, სადღაც გადაკარგულ რუსეთის უზარმაზარ სივრცეში – ადამიანი, რომელმაც მოახერხა გააერთიანებინა თავისი იმპერიის ორასი მილიონიანი მოსახლეობა, ვიდრე აქამდე რომელიმე სხვა მეფემ.„ (იოახიმ ფონ რიბენტროპი)

„ალბათ სტალინის გარდა ვერც ერთი სხვა ადამიანი ვერ შეძლებდა იგივე გაეკეთებინა ომში. დაუნდობლობის, მოქნილობისა თუ განსაზღვრულობის ისეთი ხარისხით, რაც საჭირო იყო ომის წარმატებით წარმართვისთვის ასეთი არაადამიანური მასშტაბით.„ (პიტერ უსტინოვი, ბრიტანელი მსახიობი)

„ახლა ადვილია კრიტიკა, მაგრამ მაშინ მართლა ბრძოლა იყო – საბჭოთა ხელისუფლებას უნდა გაემარჯვა. ახლა ყველა ბუღალტერს შეუძლია, ადგეს და რამდენიც უნდა, აკრიტიკოს სტალინი. მართალია, იგი ძალიან მკაცრი, სასტიკიც კი იყო, მაგრამ ვინ იტყვის, რომ იმ პერიოდში სისასტიკე საჭირო არ იყო? სტალინს უნდოდა, შეექმნა ძლიერი სახელმწიფო და მან ეს შექმნა შთამომავლობისთვის. მართალია, ამას შეეწირა ბევრი ადამიანი, მაგრამ სად იყო, რატომ ვერავინ დაინახა სხვა გზა, რომელიც უმტკივნეულოდ მიგვიყვანდა მიზნამდე? (ნინო გეგეჭკორი, ბერიას ცოლი)

„სტალინმა თქვა:„ტემპის შენელება ნიშნავს ჩამორჩენას, ხოლო ჩამორჩენილებს სცემდნენ. მაგრამ ჩვენ არ გვინდა ცემა. არა, არ გვინდა!.. სცემდნენ მონღოლი ხანები. სცემდნენ თურქი ბეგები. სცემდნენ შვედი ფეოდალები. სცემდნენ პოლონეთ-ლიტველი პანები.სცემდნენ ანგლო-ფრანგი კაპიტალისტები. სცემდნენ იაპონელი ბარონები. ჩამორჩენილებს, ყველას სცემდნენ. სცემდნენ იმიტომ, რომ მომგებიანი იყო და დაუსჯელად გრძელდებოდა... რუსეთს ათწლეულების განმავლობაში დაახლოებით იგივე უნდა გაეკეთებინა, რაც ინგლისს 200 წელი დასჭირდა. ეს ნიშნავდა აუცილებელ ძალისხმევას, რომელიც არასოდეს არცერთ ქვეყანას არ გაუკეთებია. სასიკვდილო გარღვევა! – და მაინც, აქ სტალინი აბსოლუტურად მართალი იყო... ხის საშრობიდან ბირთვულ რეაქტორებამდე. რუსეთის ტრიუმფალური აღზევება.„ (ჩარლზ სნოუ, მწერალი და პოლიტიკური მოღაწე)

„სტალინის დროს საბჭოთა კავშირი მართლაც დიდ ინდუსტრიულ ძალად იქცა.ცენტრალიზებული სოციალისტური სისტემა სრულად აღდგა.ამავდროულად, საბჭოთა ეკონომიკას ჰქონდა შედარებით მაღალი ზრდის ტემპი. „ (ზბიგნევ ბჟეზინსკი-პოლონური წარმოშობის ამერიკელი პოლიტოლოგი, სოციოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე)

„სტალინი გენიოსი იყო.მან ჩვენს ქვეყანაში მეხუთე კოლონა გაანადგურა და ომი რომ დაიწყო, პარტია და ხალხი გაერთიანდა.ახლა აღარ არის რევოლუციური სული, ოპორტუნიზმია ყველგან“. (პოლინა ჟემჩუჟინა, ვიაჩესლავ მოლოტოვის ცოლი)

„იოსებ სტალინი არის როგორც ქართველი, ისე მთელი რუსი ხალხის ერთგული შვილი, სსრკ-ს დიდი ლიდერი. სტალინის პოლიტიკას 1924-37 წლებში ჩვენი დროის პოლიტიკური სტანდარტებით ვერ განსჯი. მან შექმნა მძიმე მრეწველობა, რაკეტები., ატომური იარაღი, საბჭოთა არმია. ფლობდა უზენაეს ძალაუფლებას და იღებდა გადაწყვეტილებებს. არ შეიძლება იმოგზაუროთ ისტორიაში, ისე, რომ ირჩევდეთ მის ფურცლებს „ (სადამ ჰუსეინი-ერაყის პრეზიდენტი)

„სტალინი, როგორც დემოკრატიული ქვეყნების არც ერთი სხვა ლიდერი, მზად იყო, ნებისმიერ დროს შესდგომოდა ძალთა თანაფარდობის ძირფესვიანად შესწავლას და სწორედ იმ ურყევი რწმენით, რომ იგი იყო მსახური ისტორიული სიმართლისა, რომლის გამოხატულებასაც მისი იდეოლოგია წარმოადგენდა, მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ეროვნულ ინტერესებს. ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადი ინტერესების ტვირთით.

სტალინის სიტყვებში გამოსჭვივის აზრისა და მოქმედების მიზანსწრაფული სიმტკიცე, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ურყევი ერთგულების შედეგია. სტალინი მგზნებარე რევოლუციონერი, გულმშვიდი, აღუშფოთებელი სტრატეგი იყო. მან რუსეთი მეოცე საუკუნის ზესახელმწიფოდ აქცია, ისე, როგორც რიშელიემ საფრანგეთი XVII საუკუნეში“ (ჰენრი კისინჯერი – ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი)

„სტალინი – ესაა ჩინგისხანი და უპრინციპო ინტრიგანი, რომელიც ყველაფერს საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებას უქვემდებარებს. სტალინმა მხოლოდ ერთი საშუალება იცის – შურისძიება და ამავე დროს ზურგში დანის ჩაცემა. დამიჯერეთ, მალე სტალინი ჩვენს ჩეხვას შეუდგება და ერთიანად დაგვანაწევრებს. რაც შეეხება სტალინის პოლიტიკურ ხაზს, იგი დამღუპველია რევოლუციისთვის და სამოქალაქო ომისკენ მივყავართ. მასთან ერთად ჩვენ შეიძლება დავიღუპოთ“ (ნიკოლაი ბუხანინი, რუსი რევოლუციონერი და ცკ-ს პოლიტბიუროს წევრი 1929 წლამდე)

„სტალინი ჩემთვის ყოველთვის უსიამოვნო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი გამოირჩეოდა ვიწრო ინტერესებით, ემპირიზმით, ფსიქოლოგიური სისასტიკითა და განსაკუთრებული პროვინციული ცინიზმით, და კიდევ იყო კომპლექსიანი, უკულტურო, უხეში და ბოღმა (ლევ ტროცკი-რევოლუციონერი, ტროცკიზმის იდეოლოგი, წითელი არმიის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი, საკავშირო კპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი)

„სტალინი — ეს ადამიანი მთლიანად სისხლშია. მე ვნახე მისი რეზოლუციები, რომლებსაც ის დასტა-დასტა ანერდა ხელს მოლოტოვთან, ვოროშილოვთან, კაგანოვიჩთან და ჟდანოვთან ერთად. ეს ხუთეული იყო ყველაზე ინიციატივიანი“. (მიხეილ გორბაჩოვი)

ქართველი პოლიტიკოსები სტალინის შესახებ

„სტალინი იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნის, რომელიც დაჯილდოებული იყო დიდი ბუნებრივი ნიჭით. ამავე დროს, კითხვის წარმოუდგენელი უნარით, რასაც, თვით მისი მტრებიც ადასტურებდნენ, ვინც მასთან ერთად ციხეში იჯდა. მე წავიკითხე რამდენიმე ესერის მოგონება სტალინის შესახებ — ისინი აღიარებენ ამ ფაქტს. განათლების მაღალ საფეხურს სტალინმა სწორედ კითხვის საშუალებით მიაღწია. ყველაზე კარგად და ყველაზე უფრო დაუფლებული იყო სტალინი ისტორიას, ისტორია ძალიან უყვარდა და ისტორია იცოდა ზედმიწევნით. შემდეგაც, როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც ქვეყნის სათავეში იყო სტალინი, მაშინაც, ამ თავის მისწრაფებას და მიდრეკილებას არ ღალატობდა და ისტორიას ძალიან თვალყურს ადევნებდა. ვისაც სტალინის ჩანაწერები წაკითხული აქვს, ის მიხვდება, რომ ეს არის განათლებული და კულტურული ადამიანის ნაწერი. მას თავისი სტილი ჰქონდა — მოკლე, ნათელი — ისეთი, რომელიც სწორედ რევოლუციონერებს ესაჭიროებოდათ, რომ ხალხამდე მიეტანათ მარქსიზმის იდეები. როცა მისივე თხოვნით, სოჭში ჯანაშია და ბერძენიშვილი ჩავიყვანე — არ დარჩენილა მსოფლიო ისტორიის საკითხები, რომლებიც მათ არ განეხილათ. ჩვენი ისტორიკოსები განცვიფრებულები იყვნენ ისტორიული ფაქტების ცოდნის იმ სიღრმით, რომელიც სტალინმა საუბარში გამოამჟღავნა. ასე რომ, ლაპარაკი იმაზე, რომ სტალინს აკლდა განათლება — სისულელეა„ (კანდიდ ჩარკვიანი)

„სტალინი გენიალური მოაზროვნე იყო, თუმცა, ამასთან, სასტიკიც, ანდა, უფრო სწორი იქნებოდა — მკაცრი. მე ახლაც ინტერესით ვიკვლევ მის ნაშრომებსა და ბიოგრაფიას. მიუხედავად იმისა, რომ მის განვლილ ცხოვრებაში იყო ნეგატიური მომენტები, იგი მაინც დიდ სახელმწიფო მოღვაწედ წარმოგვიდგება. ომში ხომ სწორედ მან გაიმარჯვა. იგი ხელმძღვანელობდა ქვეყნის მთავრობას — იყო უმაღლესი მთავარსარდალი, თავდაცვის მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მოკლედ, მთელი ძალაუფლება მის ხელში იყო. 1941 წლის მინურულს, მაშინ, როდესაც ჰიტლერელები უკვე მოსკოვის მისადგომებთან იყვნენ, სტალინმა დედაქალაქში 7 ნოემბრის აღსანიშნავად სამხედრო აღლუმის ჩატარების განკარგულება გასცა. მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ის ამბობდა, რომ თუ სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგება, ერთი ბომბიც კი საკმარისი იქნება მის გასანადგურებლად, ხოლო მის გარეშე ქვეყანაც განწირული იქნებოდა დაღუპვისთვის. მიუხედავად ასეთი საფრთხისა, სტალინმა მაინც ჩაატარებინა აღლუმი და მისი ბრძანებით ორგანიზებული მოსკოვის საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფის გაძლიერებული რეჟიმის პირობებში, როგორც ცნობილია, არცერთი ბომბი აღლუმის მსვლელობის დროს არ ჩამოვარდნილა„ (ედუარდ შევარდნაძე)

„პრაქტიკულად, მთელი ჩემი ცხოვრება ვიბრძოდი და ვიბრძვი სტალინიზმის წინააღმდეგ... სტალინის გაიდეალების ხანა წარსულს ჩაბარდა. შესაძლოა, ორი-სამი წლის წინ მსგავსი დამოკიდებულების გამოვლინებების ჯერ კიდევ ადგილი, თუმცა მას, რაც ჩვენ ძალიან დიდი სამუშაოები განვიხილავთ და ფაქტობრივად გავაუქმეთ საზოგადოება „სტალინი„„ავუკრძალეთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს უფლება, რადგან მათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ სურდათ. ამის შემდეგ ამ საშიშროებამ უკვე ჩაიარა„ (ზვიად გამსახურდია)

„მე ვერ გეტყვით, რომ სტალინის პიროვნება რამენაირად გადავაფასე, მაგრამ შემიძლია, დროის გასვლის პარალელურად გითხრათ, რომ ერთ საუკუნეში, დავუშვათ, როდესაც ის ოჯახები, რომლებსაც რეჟიმმა მიაყენა ტკივილი, დაივიწყებენ ამ ტკივილს, არ იქნება ცოცხალი, არ ეყოლებათ ბაბუები, ბებიები, რომლებმაც იტვირთეს ამ რეჟიმის ტვირთი, სტალინი იქნება აღქმული, როგორც ერთ-ერთი ძალიან დიდი მხედართმთავარი და ეს იქნება ის, რასაც დაწერენ სტალინზე, იმიტომ, რომ ის რეალურად იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი იმპერიის ხელმძღვანელი და აგრეთვე მხედართმთავარი, რომელმაც მოიგო მეორე მსოფლიო ომი. ეს ორი მსოფლიო ომი კი იყო ევროპის უდიდესი ტკივილი და უდიდესი კატასტროფა, რომლის შედეგადაც, კაცობრიობა მივიდა იმ დასკვნებამდე, როგორ უნდა იცხოვროს ერთობლივად ევროპამ. სტალინს ამ გამარჯვებაში ლომის წილი აქვს, შესაბამისად, სტალინს მომავალში აღიქვამენ, როგორც ძალიან დიდ პოლიტიკოსს და ძალიან დიდ მხედარმთავარს„ (გიორგი მარგველაშვილი)

„მე ძალიან ფაქიზად, ფრთხილად, მაგრამ უარყოფითად ვაფასებ სტალინის მოღვაწეობას. ეს არის ჩემი დამოკიდებულება მისადმი..მე არ მაქვს სტალინის სურათი. გოგი თოფაძეს თუ აქვს ამის სურვილი, ეს მისი ნებაა. პრინციპში, ეს აკრძალული არაა. მე ასეთი დამოკიდებულება მაქვს მარტივად, არა მარტო სტალინთან. თუ გინდათ, სტალინის მსგავსი პატარა თვისებები ჩვენს ბოლო ლიდერს რომ ჰქონდა, ამასაც შეგახსენებთ. არ შეიძლება, ადამიანები იხვრიტებოდნენ და იხოცებოდნენ და არ შეიძლება, რაიმე აქცია ტარდებოდეს საზოგადოების წინააღმდეგ იმისათვის, რომ რაღაც წყობას, ან წესრიგს ჩაეყაროს საფუძველი და რაღაც იდეოლოგიას. არცერთი ადამიანის სიცოცხლედ არ ღირს ნებისმიერი იდეოლოგია. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, სტალინთან გამოტანილია და რაც გამოტანილია, მე მთლიანად ვემხრობი ამაში, ახალს ვერაფერს მოგახსენებთ. ის, რომ ისტორიის ნაწილია სტალინი და ვიღაცეები ამას იხსენებენ, ამის უფლებაც აქვთ. და ძალიან საინტერესო და მძაფრი ისტორია არის დაკავშირებული სტალინთან. მათ რიცხვში, ჩვენი ქვეყნის განვითარების და შესაბამისად, მას ისტორიაში აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ჩემთვის სტალინი არ იყო პოზიტივი. თუ გოგი თოფაძეს სტალინი მოსწონს, ამაშიც არაფერი დანაშაული არ არის, ეს მისი ნებაა და მისი უფლებაა„ (ბიძინა ივანიშვილი)

„მეგობრებთან ერთად კინოში ფილმ სტალინის სიკვდილს ვუყურეთ. შესანიშნავი ფილმია. ჩემი დიდი ბებია თამარი მიყვებოდა, თუ როგორ გადაარჩინა სტალინი მეფის ჟანდარმებისგან დაჭერას. სტალინმა კი ამ სიკეთისთვის სამაგიერო ოჯახის ქონების კონფისკაციითა და მამისა და ძმის დახვრეტით გადაუხადა. ჩემი ინგლისური ენის მასწავლებლის გელა ჩარკვიანის მამა კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსანი იყო. ის ხშირად სტუმრობდა სტალინს მისი სიცოცხლის ბოლო წლებში და ყველაფერი, რასაც ჩარკვიანი მიყვებოდა, ძალიან ჰგავს იმას, რაც ფილმშია მოთხრობილი. გირჩევთ ნახოთ.„ (მიხეილ სააკაშვილი)

მსოფლიოს 25 ყველაზე უცნაური საახალწლო ტრადიცია

ახალი წელი მსოფლიოს ყველა კუთხეში მოდის, მაგრამ მას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ხვდებიან, ზოგგან – საკმაოდ უცნაურადაც კი. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ პურის კედლისათვის დაშენას წარმატება მოაქვს, სხვებისათვის კი წინასაახალწლოდ საფრთხობელას დაწვა ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორიც ჩვენთვის – გოზინაყის მომზადება. ეს კიდევ არაფერია: ზოგგან უახლოეს მეგობარს ხელჩართულ ბრძოლაში იწვევენ, რომ ახალ წელს ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან დაიწყონ.

გადავწყვიტეთ, ამ სტატიაში 25 ყველაზე უცნაური საახალწლო ტრადიციისთვის მოგვეყარა თავი.



1. დამტვრეული ჭურჭელი (დანია)

დანიაში ახალი წლის აღნიშვნა მეგობრისთვის დამტვრეული ჭურჭლის კართან დაყრით იწყება. ვის სახლთანაც მეტი ნამსხვრევი დაგროვდება, სწორედ მას ჰყავს ყველაზე მეტი გულშემატკივარი და მომავალ წელსაც უფრო გაუმართლებს.

2. ალმოდებული საფრთხობელა (ეკვადორი)

ეკვადორში ახალი წლის დადგომას საფრთხობელებისა და გასული წლის ფოტოების დაწვით აღნიშნავენ.

3. ყურძნის 12 მარცვალი (ესპანეთი)

ესპანელების აზრით, თუ ახალი წლის ღამეს ყურძნის 12 მარცვალს შეჭამ, მომავალი წელი ბედნიერებას მოგიტანს.



4. ყველაფერი, რაც მრგვალია (ფილიპინები)

აქ ფიქრობენ, რომ ახალ წელს სუფრაზე ყველაფერი მრგვალი უნდა იდოს. ხილი, ბოსტნეული, ტკბილეული და ა.შ ის, რაც ფორმით მონეტას წააგავს, კეთილდღეობისა და ბევრი ფულის მომტანია.

5. ფერადი საცვლები (სამხრეთ ამერიკა)

სამხრეთ ამერიკაში ახალი წლის ღამეს ადამიანები ფერად საცვლებს იცვამენ, ფერს კი იმის მიხედვით არჩევენ, თუ რა სურთ ყველაზე მეტად. თუ წითელს ჩაიცვამ, აუცილებლად გაგიმართლებს სიყვარულში, ოქროსფერი ფინანსურ წარმატებას ნიშნავს, თეთრი ფერი კი ურთიერთობაში ჰარმონიასა და მშვიდობას შემოიტანს.

6. 108 ზარი (იაპონია)

იაპონელების აზრით, ახალ წელს 108-ჯერ ზარის ჩამოკვრა ცხოვრებას უარყოფითი ენერგიისაგან გაწმენდს, რაც მათ სადღესასწაულო განწყობაზე დადებითად იმოქმედებს.

7. ჩხუბის ფესტივალი (პერუ)

პერუში ახალ წელს მეგობრები ხელჩართულ ბრძოლაში ებმებიან, ხოლო ამის შემდეგ ახალი ფურცლიდან იწყებენ ცხოვრებას და სამუდამოდ ივიწყებენ ძველ წყენას.

8. ნაყინის ბურთულა (შვეიცარია)

შვეიცარიაში ახალ წელს ნაყინის ბურთულებით ეგებებიან, რომელთაც საგანგებოდ ძირს ყრიან.

9. მონეტის სროლა მდინარეში (რუმინეთი)

რუმინელები მონეტებს ყრიან მდინარეში, რამაც დამდეგ წელს ბევრი ფული უნდა მოუტანოთ.

10. ჭიქა წყლის ფანჯრიდან გადაგდება (პუერტო-რიკო)

პუერტო-რიკოში ბოროტი სულებისა და ნეგატიური აურისაგან თავის დასაღწევად წყლიან ჭიქას აგდებენ ფანჯრიდან.

11. ნუ დაივიწყებთ ძროხებს! (ბელგია)

ბელგიაში არც ერთ ფერმერს არ ავიწყდება, რომ ძროხებს ბედნიერი ახალი წელი უსურვოს.

12. მონეტა ნამცხვარში (ბოლივია)

იმ იღბლიან ბოლივიელს, რომელიც საგანგებოდ მომზადებულ ნამცხვარში მონეტას აღმოაჩენს, წარმატებული წელი ექნება.

13. ბლინები (საფრანგეთი)

ფრანგები აფასებენ გემრიელ საჭმელს, ამიტომ ახალ წელს ისინი ყველაზე ტკბილ საახალწლო ბლინებს მიირთმევენ.

14. ჩემოდნები (კოლუმბია)

კოლუმბიელებს ყველაზე მეტად ახალი შეგრძნებები უყვართ. მათ სჯერათ, რომ თუ ახალი წლის დადგომამდე მთელი დღე ახლოს ექნებათ საკუთარი ჩემოდანი, მომავალ წელს მოგზაურობასა და გართობაში გაატარებენ.

საახალწლოდ მორთულ-მოკაზმული ყვარლის მთავარი მოედანი 31 დეკემბერს, საღამოს 22 საათზე, გიხმობთ სადღესასწაულო გალაკონცერტზე



მსოფლიოს 25 ყველაზე უცნაური საახალწლო ტრადიცია

15. ახტი ყველაზე მაღლა (დანია)

დანიელები ცდილობენ, რაც შეიძლება მაღლა ახტნენ, რომ იღბლიანი წელი ჰქონდეთ.

16. წუწაობა (ტაილანდი)

ტაილანდში ადამიანები ერთმანეთს წყლით ბომბავენ.

17. ღამის გატარება ახლოგლის საფლავთან (ჩილე)

ჩილეში წინასაახალწლოდ გარდაცვლილებს იხსენებენ. საყვარელი ადამიანის საფლავზე ღამის გათევა მისთვის პატივის მიგებას ნიშნავს.

18. ცხოველებთან საუბარი (რუმინეთი)

ბელგიელი კოლეგების მსგავსად, რუმინელი ფერმერებიც ცდილობენ, ახალ წელს აუცილებლად ჰქონდეთ ურთიერთობა ფერმის ბინადრებთან. მათი აზრით, ეს ბედნიერი მომავალი წლის საწინდარია.

19. პურის ძალა (ირლანდია)

ირლანდიელები ახალ წელს პურს ესვრიან სახლის კედლებს, მათი აზრით, პურს აქვს ძალა, რომელიც ბოროტ სულებს დააფრთხობს.

20. ძველი ავეჯის გადაყრა (სამხრეთ აფრიკა)

სამხრეთაფრიკული ტრადიციის თანახმად, ახალი წლის ღამეს სასურველია ძველი ავეჯისა და ნივთების ფანჯრიდან მოსროლა.

21. ბანაობა გაყინულ წყალში (ციმბირი)

შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ციმბირში ახალ წელს გაყინულ წყალში საცვლების ამარა ჩახტომით ხვდებიან.

22. მდნარი მეტალის წინასწარმეტყველება (ფინეთი)

ფინელების აზრით, წყალში გამდნარი მეტალის ჩასხმით მომავალი წლის წინასწარმეტყველება შეიძლება.

23. ადამიანის გამოსახულების დაწვა (პანამა)

ადამიანის ნებისმიერი გამოსახულებისა თუ ნივთის დაწვა პანამელებისათვის საუკეთესო და ბედნიერი მომავალი წლის გარანტიაა.

24. ტაფები და ქვაბები (ავსტრალია)

დასტაცეთ ხელი ლითონის ჭურჭელს სამზარეულოში, გამოდით გარეთ და იხმაურეთ შუაღამისას, თუ გსურთ, რომ ავსტრალიურად შეხვდეთ ახალ წელს.

25. ჭამეთ რაც შეიძლება მეტი! (ესტონეთი)

ესტონელები ახალ წელს დღეში 7-ჯერ მიირთმევენ საჭმელს, რაც მომავალ წელს მათ ბარაქას მოუტანს.

მეკვლე (საქართველო)

ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც დიდი სიხარულით ეგებებიან ახალი წლის დადგომას. დღესასაწაულს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად აღვნიშნავთ, მივირთმევთ გემრიელ საჭმელებს და საჩუქრებით ვახარებთ ერთმანეთს. ყველაზე გავრცელებული საახალწლო ტრადიცია კი მეკვლეა. ეს არის ადამიანი, რომელიც ყურადღებით უნდა შეარჩიო, რადგან სწორედ მისი ფეხის შემობიჯვება წყვეტს, როგორი წელი ექნება ოჯახს.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი

მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი

კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86